

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

75-15/2
88

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

4. 1988

..საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,
ეკონომიკისა და საშარტლის სერია, 1988, № 4


საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

СЕРИЯ
ЭКОНОМИКИ И
ПРАВА

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца



4. 1988

ბამონცვემლობა „მეცნიერება“
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

●
თბილისი
ТБИЛИСИ



სარედაქციო კოლეგია: ა. გუნია (რედაქტორი) თ. გამყრელიძე, მ. გველესიანი, გ. თოდუა, თ. ლილუაშვილი, გ. ნადარეიშვილი, ი. ფუტყარაძე თ. შავგულიძე (რედაქტორის მოადგილე), თ. ჩიკვაძე (რედაქტორის მოადგილე), ლ. ჩიქავა.

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Гуния А. Л. (редактор), Гамкrellidze O. K., Гвелесиани М. И., Тодуа Г. С., Лилуашвили Т. С., Надареишвили Г. Н., Путкарadze Я. В., Чикава Л. Л., Чикваидзе Т. Н., (зам. редактора), Шавгулидзе Т. Г. (зам. редактора).

Ответственный секретарь А. Л. Шенгелия

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ეკონომიკისა და საშენობის სერია, 1988 № 4

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380007, მახარაძის ქ. № 14
 Адрес редакции: Тбилиси, 380007, ул. Махарадзе, 14
 ტელეფონი 93-22-60 телефон

გადეცა წარმოებას 21.10.88; ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.12.88; შეკვ. № 3289; ანაწყოების ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 10,85; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,89; საღ.-გატარება, 11,55; უე 04586; ტირაჟი 980;

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
 Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
 Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ზ ი ნ ა ა რ ს ი

ეკონომიკა

მ. ჯიბუჭი, ქართული ეკონომიკური პერიოდიკის ისტორიის საკითხისათვის	5
მ. მარგალიტაძე, ძირითადი წარმოებითი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების საკითხებისათვის აჭარის ასსრ მრეწველობაში	16
მ. არევაძე, წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, როგორც შრო- მის ნაყოფიერების ამაღლების ფაქტორი საქართველოს სსრ ქიმიურ მრეწვე- ლობაში	24
რ. იაკოვნიძე, ზ. გარაქანიძე, წარმოების თანამედროვე პროცესის ახლად აღჭურვა მოქნილი ავტომატიზებული საწარმოო სისტემის გამოყენებით	31
რ. სარჩიშვილი, ფულად-ნივთიერ დარგთაშორის ნაკადის მოდელი	40
ი. ანანიშვილი, ზღვრული სიდიდეები დარგთაშორისი ბალანსის დინამიურ მოდელში	44
ზ. ბურდული, ზ. კვიციანი, ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების აღრიც- ხვისა და კონტროლის გარდაქმნის აქტუალური საკითხები	53
ბ. გელიანაშვილი, ე. ნიჭიკოვი, რეგიონალური პრობლემები და მიზნობრივი კომ- პლექსური პროგრამები	66
ბ. ჩარაშვილი, სოფლის მეურნეობის სამუშაოთა თანამიმდევრულ-პარალელური დაგეგ- მარების ამოცანებში სტრუქტურის ოპტიმალური გამოყოფა	76

სამართალი

ბ. გოლოვნილი, სამოქალაქო დავა, როგორც უთანხმოება მხარეებს შორის	79
ი. ფუტყარაძე, სახელმძღვანელო სერიოზული შეცდომებით	82
ბ. ნაღარაძე, სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხი თანამედროვე სა- მეცნიერო ლიტერატურაში: პროტოსახელმწიფო როგორც პოლიტიკური სტრუ- ქტურა	99
წ. ხეცურიანი, სიკვდილით დასჯა და თანამედროვეობა	113

რეცენზია, ინფორმაცია, ძრონიკა

საყურადღებო ნაშრომი წარმოების ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის პრობლემებზე საინტერესო წიგნი მოთხოვნათა და წინადადებათა პოლიტიკურ-ეკონომიკური პრობლე- მების შესახებ	120 123
--	------------



СОДЕРЖАНИЕ

ЭКОНОМИКА

М. Ч. Джибути. К вопросу истории грузинской экономической периодики	5
О. Н. Маргалитадзе. К вопросу повышения эффективности использования основных производственных фондов промышленности Аджарской АССР	16
Н. Г. Аревадзе. Совершенствование материально-технической базы производства как фактор повышения производительности труда в химической промышленности ГССР	24
Р. В. Якобидзе, З. Г. Гараканидзе. Переоснащение современного процесса производства с применением гибких автоматизированных производственных систем	31
Р. А. Сарчимелия. Модель денежно-вещественных межотраслевых потоков	40
Ю. Ш. Ананишвили. Предельные величины в динамической модели межотраслевого баланса	44
Ш. И. Бурдули, Г. П. Квирикашвили. Актуальные вопросы перестройки учета и контроля исполнения местного бюджета	53
Г. В. Бедианашвили, Е. Д. Новиков. Региональные проблемы и целевые комплексные программы	66
Г. Г. Чараев. Оптимальное выделение структур в задачах последовательно-параллельного планирования сельскохозяйственных работ	76

ПРАВО

Г. А. Голошвили. Гражданский спор как разногласие между сторонами	79
Я. В. Путкарадзе. Учебник с серьезными изъянами	82
Г. Н. Надареишвили. Некоторые вопросы возникновения государства в современной научной литературе: протогосударство как политическая структура	99
Д. Г. Хецуриани. Смертная казнь и современность	131

РЕЦЕНЗИИ, ИНФОРМАЦИЯ, ХРОНИКА

Значительный труд об интенсификации производства и проблемах его эффективности	
Интересная книга о политико-экономических проблемах спроса и предложения	123

მისილ ჯიბუბი

ქართული ეკონომიკური პერიოდის ისტორიის საკითხისათვის

18872

ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის კომპლექსური და სისტემური შესწავლა შეუძლებელია ქართული ეკონომიკური პერიოდის ისტორიის ცოდნის გარეშე. ქართული ეკონომიკური პერიოდის ისტორია ჯერჯერობით შესწავლის საწყის სტადიაზე იმყოფება. იგი არ გამხდარა მონოგრაფიული გამოკვლევის საგანი. ვარკვეული აზრით, გამონაკლისს წარმოადგენს აკად. პ. გუგუშვილის მონოგრაფია „ქართული ჟურნალისტიკა“, რომელიც ეძღვნება ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალებში „ცისკარში“ და „საქართველოს მოამბეში“ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ საკითხებს¹. ცალკეულ ჟურნალებს ან პრობლემებს ეძღვნება ე. ჩადუნელის, ე. წიკლაურის და სხვ. ნაშრომები². ეკონომიკური პერიოდის საკითხებს იხილავენ გ. მეგრელიშვილი, გ. ბაქრაძე, გრ. თოდუა, ა. ფანცხავა და სხვ. თავიანთ გამოკვლევებში. იმდენად, რამდენადც იკვლევენ ქართული ეკონომიკური აზრის ამა თუ იმ პერიოდს, თუ წარმომადგენელს, მაგრამ სპეციალურად მას არ სწავლობენ. სხვა რომ არა ვთქვათ, ჯერ კიდევ არაა დადგენილი ქართული ეკონომიკური ჟურნალ-გაზეთების სრული ნუსხა, არაა ჩატარებული მათი კატალოგიზაცია, არ გვაქვს მათი აღწერილობა და სხვ. ბევრი გაურკვეველობაა ამა თუ იმ ჟურნალისა და გაზეთის გამოცემის თარიღებთან დაკავშირებით, არაა დადგენილი მათი გამოსვლის პერიოდულობა და სხვ. ასეთი სიტუაცია გაპირობებულია მრავალი მიზეზით. უპირველესი მათ შორის რესპუბლიკაში ქართული ეკონომიკური აზრისა და პოლიტიკური ეკონომიის ისტორიების შესწავლის არასაკმარისი დონეა. არანაკლებ ხელისშემშლელია რესპუბლიკაში საბიბლიოთეკო საქმის მიუტევებლად დაბალი დონე. რესპუბლიკაში არ არის ბიბლიოთეკა, სადაც თავმოყრილი და დაცული იყოს ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთი და მათი სრული კომპლექტები. კომპლექტებთან დაკავშირებით საქმე იმდენად სავალალოა, რომ დღეს უკვე დავიანებულია, ხვალ კი შეუძლებელი იქნება ბევრი ჟურნალ-გაზეთის ყველა ნომრის თავმოყრა, რითაც ეროვნული სულიერი წარმოება აუნაზღაურებლად დაზარალდება. მოუწესრიგებელია პერიოდის ბიბლიოგრაფიული საძიებლების გამოცემის საკითხი. ერთადერთ დასაყრდენ წიგნად ამ მხრივ რჩება გ. ბაქრაძის მიერ შედგენილი „ქართული პერიოდის ბიბლიოგრაფია“, რომელიც ჯერ ერთი, მო-

1 პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, ტ. 1, თბ., 1941.

2 ე. ჩადუნელი. ჟურნალ „იმედის“ საზოგადოებრივ-ეკონომიკური შეხედულებანი, თბ., 1961; Циклаური Ж. Н. Журнал «Экономиста» о социалистической индустриализации в Грузии (1925—1937 гг.). Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата экономических наук. Тб., 1986 და სხვ.

ქაქ. სსრ კ. მარტის
სა, სა, ჯიბუბი.

ითხოვს დაზუსტებებს და მეორეც, არ მოიცავს ქართული პერიოდიკის ისტორიის თითქმის ნახევარ საუკუნეიან ინტერვალს³.

ნათქვამიდან გამომდინარე არაა გასაკვირი თუ თვით ყურნალი „ეკონომისტის“ ისტორიის ყველა ფურცელიც არაა ცნობილი. ყურნალ „ეკონომისტის“ ისტორია, თავისი წამყვანი მდგომარეობის გამო ქართულ ეკონომიკურ პერიოდიკაში სათანადო დონეზეა შესწავლილი. ამას ხელი შეუწყო ყურნალის საიუბილეო ღონისძიებებმაც.

ყურნალის 50 წლისთავს მიეძღვნა აკად. პ. გუგუშვილის სტატია „ქართული ეკონომიკური პუბლიცისტიკის ფლაგმანი“⁴, ხოლო 60 წლისთავს სტატიები: ი. კრავცოვი — „მუდამ ცხოვრების შუაგულში“⁵, ყ. წიკლაური — „პირველი ნაბიჯები“⁶, თ. გოქსაძე — „ყურნალმა სახე შეიცვალა“⁷. ყურნალ „ეკონომისტის“ ისტორია შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: 1925 წელს იგი გამოდიოდა „ეკონომისტის“, 1926-1931 წლებში „საქართველოს ეკონომისტის“, 1931-1941 წლებში, — „საქართველოს სოციალისტური მეურნეობის“ სახელწოდებით. 1941-1957 წლებში ყურნალი არ გამოდიოდა. 1958 წლიდან განაზღვრა ყურნალის გამოცემა. 1967 წლამდე ყურნალს ერქვა „საქართველოს ეკონომისტი“, 1967-1973 წლებში „საქართველოს სახალხო მეურნეობა“, ხოლო 1974 წლიდან იგი გამოდის „ეკონომისტის“ სახელწოდებით. ყურნალს რედაქტორობდნენ: 1925-26 წწ. ს. ჩხილაძე, 1926-31 წწ. ვ. ავაქოვი და ა. კვირიკაძე, 1931-32 წწ. კ. ორაგველიძე, 1933-1937 წწ. რ. მელაძე, 1937-41 წწ. კ. თარგამაძე, 1958-1967 წწ. პ. გუგუშვილი, 1967-69 წწ. ს. ინწკირველი, 1969-75 წწ. თ. გოქსაძე, 1976 წლიდან ი. კრავცოვი.

საიუბილეო თარიღისათვის ათვლის წერტილად აღებულია 1925 წლის აგვისტო, როდესაც გამოვიდა ყურნალ „ეკონომისტის“ პირველი ნომერი. აღნიშნული თარიღი, შეიძლება ითქვას, საყოველთაოდაა აღიარებული და მიღებული⁸. აქ ყველაფერი სწორია, მაგრამ ყოველთვის მკვეთრად არაა გამოკვეთილი და მოუზნადებელი მკითხველი შეიძლება დაახნიოს იმ გარემოებაში, თუ რის შესახებაა ლაპარაკი: 60 წელი ყურნალ „ეკონომისტის“ დაარსებიდან თუ ქართული ეკონომიკური ყურნალის არსებობის 60 წელი? არც ერთი და არც მეორე. ლაპარაკია ქართული საბჭოთა ეკონომიკური ყურნალისა და საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ყურნალ „ეკონომისტის“ გამოცემის 60 წლისთავზე. თორემ საბჭოთა მდელ ქართულ პრესაში გამოდიოდა ქართული ეკონომიკური ორკვირეული ყურნალი „საქართველოს ეკონომისტი“, რომელიც იბეჭდებოდა ქართულ და რუსულ ენებზე 1918-1919 წლებში და რომლის პირველი ნომერიც დაიბეჭდა 1918 წლის 13 სექტემბერს.

ყურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ გამოცემის თარიღები ქართული პუბლიცისტიკის, მათ შორის ეკონომიკური პუბლიცისტიკის ისტორიაში შეცდომითაა მოტანილი. გ. ბაქრაძის მიერ შედგენილ ქართული პერიოდიკის

3 გ. ი. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია 1819-1945, თბ., 1947.
4 ეკონომისტი, 1975, № 12.
5 ეკონომისტი, 1985, № 8.
6 ეკონომისტი, 1985, № 6.
7 ეკონომისტი, 1985, № 6.

⁸ გუგუშვილი პ. ვ. Грузинская экономическая мысль. ეკონომიკა, II, თბ., 1970, გვ. 31; მისივე К истории грузинской экономической мысли, ეკონომიკა, VI, თბ., 1974, გვ. 16. საქართველო სსრ, ქსე, თბ., 1981, გვ. 181.

ბიბლიოგრაფიაში მისი გამოცემის თარიღად 1919 წ-ია მითითებული⁹. იმავე წელს უთითებს აკად. პ. გუგუშვილი¹⁰. საქართველოს სსრ კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სპეციალური ლიტერატურის ფონდში კი დაცულია 1918 წელს გამოცემული „საქართველოს ეკონომისტი“ ნომრები, რომელთა საფუძველზეც ზემოთ მივუთითეთ მისი პირველი ნომრის გამოცემის თარიღი.

ამდენად, ჩვენი აზრით, საფუძველს არაა მოკლებული, ჟურნალ „ეკონომისტი“ ასაკში და შესაბამისად, მის საიუბილეო თარიღებში კორექტირების შეტანა.

რადგან ჯერ კიდევ სურვილად რჩება ქართული ეკონომიკური ჟურნალ-გაზეთების ნომრების სისტემური და საგნობრივი ბიბლიოგრაფიების შედგენის საკითხი¹¹ და ამასთან ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტი“ პირველი ნომრები ფართო საზოგადოებისათვის ხელმიუწვდომელია, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი გამოცემის პირველი—1918 წლის ნომრების აღწერილობის მოცემა. ჟურნალი „საქართველოს ეკონომისტი“ იყო ორკვირეული ქართულ-რუსულენოვანი ჟურნალი. 1918 წელს გამოვიდა ექვსი ნომერი.

№1 გამოვიდა 13 ნაკენისთვის (სექტემბერს) 48 გვერდის მოცულობით. მისი შინაარსი იყო: (სტილი დაცულია) ქართულად: საქართველოს ეკონომისტი (მეთაური) — დ. თოფურაძე; დუღის საკითხი — დ. თოფურაძე, ქრონიკა — ქუთათაძის წყალსადენი; საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ძალთა განწყობილების საკითხის შესახებ — გიორგი მამრადე. რუსულად: მეთაური (იგივე რუსულად) — დ. თოფურაძე; ერობა და სახელმწიფო — დ. თ.; სახალხო მეურნეობის გათიშვა — ვლ. ვოტინსკი; პირველი ნაბიჯები — ე. კოზლოვსკი; ფინანსები, სახელმწიფო და კერძო ინიციატივა — ბ. მენდელევი; სამინისტროს გეგმა მრეწველობის განვითარების შესახებ — კოლხიდელი; სამისიო ბანკი და მისი მნიშვნელობა სახალხო მეურნეობისათვის — ბერგი; ოქროს გრამი, როგორც საფუძველი საერთაშორისო ვალიუტისა — პრ. გენხელი.

№2 გამოვიდა 3 ოქტომბერს 59 გვერდის მოცულობითა¹² და შემდეგი შინაარსით: ქართულად: ქალაქთა კავშირის ყრილობა — ა. ლ.; ქალაქ ქუთათის ეკონომიური პერსპექტივები — დ. კალანდარიშვილი; კორესპონდენციები; რუსულად: პური და პურის საქმეები — დ. თოფურაძე; საერთო

9 გ. ი. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია 1819-1945, თბ., 1947, გვ. 59, 223.

10 პ. გუგუშვილი, ქართული ეკონომიკური პუბლიცისტიკის ფლაგმანი, ეკონომისტი, 1975, №12, გვ. 5.

11 ჟურნალ „ეკონომისტი“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოებისა და 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სტატიაში აკად. პ. გუგუშვილი წერდა: „გადაუდებელ საჭიროებად მიგვაჩნია შედგეს და გამოიცეს ჟურნალ „ეკონომისტი“ 1925-1975 წწ. გამოსული ნომრების სისტემატური და საგნობრივი ბიბლიოგრაფიები, რაც ცხადია, დიდად შეუწყობს ხელს ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის ისტორიის მთელი გამოცდილების, თვით ეკონომიკური მეცნიერებისა და ცხოვრების წინაშე მდგარი მიმდინარე და მომავალი ამოცანების უკეთ გათვალისწინების და წარმატებით გადაჭრის საქმეს“ (ეკონომისტი, 1975, №12, გვ. 15).

12 მხოლოდ იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ გ. ი. ბაქრაძის „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“ ბევრი რამაა დასაზუსტებელი ადგინაწნავთ, რომ მასში (გვ. 59) ყ. „საქართველოს ეკონომისტი“ მოცულობა მითითებულია როგორც 48 გვერდი უცვლელად.

ორგანო სახელმწიფოს მეურნეობისა — ისარი; ფულების გაფასება, ამ მოვლენის მიზეზები და ბრძოლა ამის წინააღმდეგ — პროფ. ბრენტანო; ღვინო, როგორც წყარო სახელმწიფოს შემოსავლისა — ე. კოზლოვსკი; სახალხო მეურნეობის დამბლად ჩავარდნა (გაგრძელება) — ვ. ვოიტინსკი; ოქროს ფონდი და ქალაქის ხმარება — ა. შჩეპოტიევი; ქრონიკა.

№ 3 გამოვიდა 20 ოქტომბერს 48 გვერდის მოცულობით. მისი შინაარსი იყო: ქართულად: ადმინისტრაციული გამიჯვნა და ერობა — გ. მენდელევი; საქართველოს რკინის გზის ელექტროფიკაცია — ინჟ. ბ. ჭიჭინაძე. რუსულად: სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ — დ. თოფურიძე; სატყეო მრეწველობის პერსპექტივები — გ. პახარ; საკუთარ ფინანსიურ სისტემის მნიშვნელობა სახელმწიფოსათვის — ვ. ვოიტინსკი; გზები ინდოეთისაკენ — შჩეპოტიევი; სოციალური პოლიტიკა და მუშათა დაზღვევა — გ. მენდელევი; ქრონიკა.

№ 4 48 გვერდის მოცულობით გამოვიდა 9 ნომბერს შინაარსით: ქართულად: სოფლის ეკონომიური მიმოხილვა — ი. ირემაშვილი; ქალაქთა კავშირის ყრილობა (დასასრული) ა. ლ.; რუსულად: კიდევ სავაჭრო ხელშეკრულებათა შესახებ — დ. თოფურიძე; საკითხი საკუთარი ფულის — სისტემის შექმნისა საქართველოში — ვ. ვოიტინსკი; სოციალური პოლიტიკა და მუშათა დაზღვევა (დასასრული) — გ. მენდელევი; აგრონომიული პოლიტიკა საქართველოში და ახალი მიწის კანონები — ი. ანდრონიკოვი; ეკონომიური კავშირები — დ. თოფ.; ფულის ბრუნვის ბედ-იღბალი ომის შემდეგ — ს. ზაგორსკი; ამიერკავკასიის საწარმოვო ძალები; ბამბის წარმოება ამიერ-კავკასიაში; ნავთის წარმოება საქართველოში — ე. კ.; ქრონიკა.

№ 5 გამოვიდა 19 ნომბერს. მოცულობა: 48 გვერდი. შინაარსი: ქართულად: საჭირ-ბოროტო საკითხის გამო — ნ. ელიანი; სოფლის ეკონომიური მიმოხილვა — ი. ირემაშვილი; წერილობითი ახსნა-განმარტებანი სენაკის საერობო კრებისა. რუსულად: საკითხი საკუთარი ფულის სისტემის შექმნისა საქართველოში (დასასრული) — ვ. ვოიტინსკი; გადასახადის წყაროები საქართველოში — ელისეი კოზლოვსკი; სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია — ა. ესენი; სამუშაო ხელ-ფასი გერმანიის სამხედრო მრეწველობაში; საწყლო ამხანაგობანი; ქრონიკა (საზღვარ-გარეთ. რუსეთში. უკრაინაში. საქართველოში).

№ 6 გამოვიდა 20 დეკემბერს. მოცულობა 48 გვერდი. შინაარსი: ქართულად: საქართველოს ფინანსები — ალექსეი ვეველი; სოფლის ეკონომიური მიმოხილვა — ი. ირემაშვილი; ახალ სენაკ-ზუგდიდის რკინის გზა; რუსულად: საფინანსო პოლიტიკის მიზანი — ე. კოზლოვსკი; ერობის საფინანსო მდგომარეობა — ბ. უ.; სახელმწიფო გადასახადების შემოტანა — ელისეი კოზლოვსკი; სამუშაო ხელშეკრულების კანონპროექტზე — ვლ. ვ.; ფულის კრიზისი გერმანიაში და ავსტრო-უნგრეთში — პრივ. — დოც. ს. ზაგორსკი; ამიერ-კავკასიის ეკონომიური მნიშვნელობა; ქრონიკა (საზღვარ-გარეთ. რუსეთში. უკრაინაში. აზერბაიჯანში. საქართველოში).

ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ რედაქტორი იყო დ. თოფურიძე. ჟურნალში თანამშრომლობდნენ: ი. ანდრონიკაშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, რ. არსენიძე, ა. ასათიანი, ა. ბერგი, პ. გელეიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, რ. დათეშიძე, ნ. ელიავა, ი. ვარაზიშვილი, ვ. ვოიტინსკი, დ. თოფურიძე.

კ. კანდელაკი, ე. კოზლოვსკი, ი. ლორთქიფანიძე, გ. მამრადე, ტ. მარგველაშვილი, პ. საყვარელიძე, ი. ფაღვაა, მ. ყაუხჩიშვილი, ი. შარაშიძე, შრამჩენკო, მ. სმირნოვი და სხვ. რედაქცია მოთავსებული იყო ვერის დაღმართზე, სახლი 5, ბინა 5.

ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტი“ ფურცლებზე 1918 წელს დაბეჭდილი მასალა მრავალმხრივად საინტერესოა: ჯერ ერთი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის შესწავლისათვის და მეორეც, ჩვენი ისტორიული წარსულის თეთრი ლაქებისაგან განთავისუფლებისათვის. 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ ხშირად მხოლოდ პოლიტიკური აქციების და პარტიათა ურთიერთდამოკიდებულების მიხედვითაა მსჯელობა. ამიტომაც ეს მსჯელობა ხშირად ემოციურ ელფერს ღებულობს. საკითხის სწორი განხილვისათვის საჭიროა შევისწავლოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც სუვერენული სახელმწიფო ფორმირების ეკონომიკური ცხოვრება. გავანალიზოთ იმდროინდელი საქართველოს სახალხო მეურნეობის მდგომარეობა, მენშევიკური მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, მათი ეკონომიკური სტრატეგია და ტაქტიკა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. ყოველივე ეს ობიექტურად, თვალნათლივ და დასაბუთებულად წარმოგვიდგენს მენშევიკების საქმიანობის ავ-კარგს 1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე პერიოდში. ასეთი ანალიზისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს სწორედ „საქართველოს ეკონომისტი“ ზემოთ მითითებული ნომრები წარმოადგენენ. ისინი განსაკუთრებით სწორ წარმოდგენას იძლევიან მენშევიკური მთავრობის პირველი თვეების ეკონომიკური ღონისძიებებისა და ამ დროის საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. ჟურნალი „საქართველოს ეკონომისტი“ რესპუბლიკის სამი თვის თავზე გამოვიდა და მან თავის მიზნად „საქართველოს ფინანსურ და ეკონომიკური საკითხების შესწავლა“¹³ გამოაცხადა.

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალები ნათლად მიუთითებენ იმ ეკონომიკურ ქაოსზე, რაც გაბატონებული იყო 1918 წლის საქართველოში. აღწერილია საქართველოს სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტის, ფინანსების მდგომარეობა, სასუთსათო, სავაჭრო-სამრეწველო, საფინანსო, რკინიგზის კრიზისების სიღრმე და გაქანება.

მართალია უშუალოდ ჩვენი კვლევის მიზანს არ წარმოადგენს საჟურნალო მასალების შინაარსობრივი ანალიზი, მაგრამ ინტერესმოკლებული არ იქნება საჟურნალო მასალების საფუძველზე აღვადგინოთ იმდროინდელი საქართველოს ეკონომიკის პორტრეტი და მოკლედ ჩამოვთვალოთ ის გზები რასაც ჟურნალი ურჩევდა მთავრობას მდგომარეობის გამოსასწორებლად.

1918 წელს საქართველო მოიცვა ღრმა ფინანსურმა კრიზისმა. უგვეგმოდ ხდებოდა ფულის გამოშვება, იჭრებოდა უამრავი ბონები, რომელიც არც საქონლით და არც ოქროთი არ იყო უზრუნველყოფილი. საქართველოში მიმოიქცეოდა სამი სახის ქალაქის ფული: „ნიკოლოზის“ ანუ „მეფის“, „რომანოვების“ ქალაქის ფულის ნიშნები, ე. წ. „კერენსკის“ ფული და ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები¹⁴. საინტერესო ისაა, რომ ყველა ფულის ნიშნის

¹³ საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 3, გვ. 3.
¹⁴ საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 4, გვ. 17.

გამომშვეები მთავრობა იმ დროისათვის აღარ არსებობდა. აქედან ბუნებრივია, რომ ამ ფულის არავის არ სჯეროდა და ყველას უნდოდა მისი სასწრაფოდ საქონელზე გაცვლა. ჩაკეტილი ბაზრის პირობებში ეს იწვევდა ფასების ზრდას¹⁵. აქ საინტერესოა ერთი მომენტი, როგორც ისტორიული გამოცდილება. ე. ი. შესაძლებელია ფულის „ბანკა“, როცა იმდენად დაკარგავს ფული ავტორიტეტს, რომ მისი დაგროვება ე. წ. „მუთაქაში“ აღარ ხდება. ასეთ შემთხვევაში ფასების ზრდა ციებ-ცხელებით ხასიათდება და იზრდება სპეკულაცია. სპეკულაციის შემთხვევაში ეკონომიკური მოვლენები კი გადაიან სახალხო მეურნეობის სფეროდან. ასე დაემართა მენშევიკურ მთავრობას. ფულის კურსის სათანადო დონეზე შენარჩუნება მათ არ შეეძლოთ, რადგან არ ჰქონდათ ოქროს მარაგი. ხაზინა ცარიელი იყო, მთავრობას არ შეეძლო ქალაქის ფულის ხარჯების დაკმაყოფილება. მართალია საქართველოს რესპუბლიკას მთავრობას არ ჰქონდა სესხი, რაც მას მანევრირების საშუალებას აძლევდა.მთავრობას არ უხდება გარეშე თუ შინაურ სესხების გასტუმრება და მათი პროცენტების გადახდა, რაც პირველი ფინანსური ფაქტორის (ოქროს ფონდის) ნაკლებობას ფარავს¹⁶ — წერდა ალე წვეელი. სესხის აღების შესაძლებლობა დროულად მენშევიკურმა მთავრობამ ვერ გამოიყენა. 1918 წლისათვის მენშევიკურ მთავრობას არც ბიუჯეტი ჰქონდა განსაზღვრული და ვერც კონტროლს უწევდა მიმოქცევის პროცესს. არ არსებობდა სტატისტიკა¹⁷, ამიტომ მოვლენების ანალიზიც შეუძლებელი იყო. ყურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ მეთაურ სტატიაში დ. თოფურიძე აღნიშნავდა, რომ ფინანსური მეურნეობის გეგმის გარეშე „სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა ქვიშაზედ დამყარებული აღმოჩნდება“¹⁸.

მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ საქართველოში სახელმწიფოებრიობის წარმართვისათვის მცოდნე პირები არ იყო. არ იყო სპეციალისტები ვისაც ეცოდინებოდა ემისიის საკითხები, საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციის საქმე და სხვ.

რუსეთის მთავრობას ისე ჰქონდა წარმართული საქართველოს მეურნეობა, რომ საქართველოში თავის თავის სარჩენი სახსრები არ იყო. მაგალითად, საქართველოში ვაჭყავდათ სტრატეგიული მნიშვნელობის გზები, მაგრამ მიშვებულ იყო შიგა გზების მშენებლობა. რუსიფიკაციის პოლიტიკაზე იხარჯებოდა ფული, მაგრამ განათლებაზე ხარჯები უმნიშვნელო იყო¹⁹. ერთი სიტყვით, რუსეთის იმპერიაში ჩამოყალიბებული მეურნეობა საქართველოში ცალკე არსებობის საშუალებას ეკონომიკური თვალსაზრისით არ იძლეოდა. დაიწყო გამოსავლის ინტენსიური ძიება. საქართველოს მთავრობას ერთიანი კონცეფცია სამოქმედოდ არ ჰქონდა. გაბატონებული იყო ორი თვალსაზრისი: ერთის მიხედვით, დამოუკიდებელი ფულადი სისტემა სახელმწიფოს ისეთივე ნიშანია, როგორც მართვის, სამართლის და სამხედრო ორგანიზაციის დამოუკიდებლობა, ამიტომ მოითხოვდნენ საკუთარი ფულის ნიშნების გამომშვებას²⁰. მეორე თვალსაზრისით, საკუთარი ფულის გამომშვება არაა რეალური

15 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 1, გვ. 25-26.

16 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 6, გვ. 4.

17 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 6, გვ. 25.

18 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 1, გვ. 3.

19 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 1, გვ. 36.

20 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 3, გვ. 23.

პოლიტიკა. იგი წარმოადგენს შენიღბულ „ფულის საბეჭდი მანქანის პოლიტიკას“, როცა ემისიის გზით ცდილობენ ხარჯების დაფარვას. ამ პოზიციის მომხრენი რეკომენდაციას უწევდნენ ფულადი სისტემის მოგვარებას ფულადი ნიშნების შემოსავლის შეზღუდვით, საგადასახადო სისტემის სრულყოფით, სახელმწიფო მიწების გაყიდვითა და შემნახველი სალაროების ქსელის გახსნის გზით²¹.

ფინანსური პრობლემა იმდენად მწვავედ იდგა, რომ ყურნალი „საქართველოს ეკონომისტი“ ოპერატიულად თარგმნის სტატიებსა და იძლევა ცნობებს საზღვარგარეთის ქვეყნებში ფინანსების შესახებ. ყურნალის ორიენტაცია საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ძირითადად გერმანიაზე აღებული. ეროვნულ ნიადაგზე გამოყენების მიზნითაა გადმოთარგმნილი გერმანელი ეკონომისტის პროფ. ლ. ბრენტანოს სტატია „ფულების გაფასება, ამ მოვლენის მიზეზები და ბრძოლა ამის წინააღმდეგ“²². ბრენტანოს აზრით, ფასების აწევის მიზეზია საქონლის უკმარისობა და ქალაქის ფულის ზრდა. ამ უკანასკნელი ფაქტორის უარყოფითი გავლენის შემცირება, ქალაქის ფულის რაოდენობის შემცირების გზაა უნაღდო ანგარიშსწორების გაშლა ბანკების მეშვეობით. ქალაქის ფულის შეცვლა სუროგატებით. საინტერესოა ბრენტანოს მოსაზრება ფასების ზრდის თაობაზე. თუ ფასებს მოვუმატებთ პირველადი მოხმარების საგნებს, მაშინ ოჯახური ბიუჯეტის უფრო დიდი ნაწილი წავა მათზე. ეს მოთხოვნას ამ საქონელზე შეამცირებს, მაგრამ იგი შეამცირებს გადახდისუნარიან მოთხოვნას სხვა, უპირველეს ყოვლისა სამრეწველო საქონელზე. პირველ შემთხვევაში მოგება ვერ გადაფარავს მეორე შემთხვევაში წაგებას²³.

ფულადი ნიშნების გამოშვებასთან დაკავშირებით არსებობდა ზემოთ აღნიშნულის გარდა სხვა პოზიციაც. კერძოდ, დ. თოფურიძე თვლიდა, რომ შეიძლებოდა გამოშვებულყო ერთი ფულის ნიშანი საქართველოსათვის, აზერბაიჯანისათვის, სომხეთისათვის და მთიელთა კავშირისათვის²⁴. ეს აზრი იმდროინდელი ეკონომიკური კავშირებით იყო წარმოშობილი, მაგრამ განხორციელება არ ეწერა უტოპიურობის გამო. სხვადასხვა სახელმწიფოში ერთი ქალაქის ფულის ნიშანი ყოველთვის იქნება რეალური განსხვავების შემცველი, იმისდა მიხედვით თუ რა უზრუნველყოფა აქვს ამა თუ იმ რაოდენობა ქალაქის ფულს მოცემულ სახელმწიფოში.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ეტყობოდა, რომ ის სასიცოცხლოდ არ იყო გაჩენილი. საქართველოს რესპუბლიკის შექმნის მომენტით, ან მანამდე არ იყო გარკვეული თუ რა მატერიალური შემოსავლები ექნებოდა ქვეყანას, როგორია მისი რესურსები. 1918 წელს საქართველო ემისიით ცხოვრობდა²⁵. რესპუბლიკა ეძებდა არსებობის წყაროებს. ეს ძიების პროცესი კარგად ჩანს ყურნალის პუბლიკაციებიდან. აყენებდნენ წინადადებას რესპუბლიკის ოქროს ფონდის შესაქმნელად ეკლესია-მონასტრების სიმდიდ-

21 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 51, გვ. 5,28-29.
22 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 2.
23 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 2, გვ. 33.
24 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 4, გვ. 35.
25 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 6, გვ. 20.

რის საფუძველზე²⁶, შემოსავლების ზრდას ღვინოზე აქციზების დაწესებით²⁷, სატყეო მრეწველობის გაშლით²⁸, საქართველოში ნავთობის წარმოების განვითარებით²⁹ და სხვ.

სახელმწიფოს შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს ბევრი ავტორი ხედავდა ნაციონალიზებული მიწების გაყიდვაში. 1918 წლისათვის საქართველოს ტერიტორია 54592 კვ. ვერსი (1 ვერსი-1,0668 კმ., ე. ი. საქართველოს ტერიტორია მეტრული სისტემით 62.015 კვ. კმ-ს უდრიდა) იყო და მოსახლეობა შეადგენდა 2 მლნ სულს (ახალციხე-ახალქალაქის გამოკლებით)³⁰.

1918 წლის 7 მარტის რეფორმით დაიწყო მიწების ნაციონალიზაცია ეროვნულ-საადგილმამულო ფონდის შესაქმნელად. ამ ფონდში 1918 წლის 20 ოქტომბრისათვის გადავიდა 240.076 დესეტინა მიწა, ანუ 262.283 ჰა 31 დესეტინა = 1,0925 ჰა). ფინანსური სისტემის კრიზისის დაწვლით აზრი ამ მიწების გლეხებისადმი მიყიდვის შესახებ გაბატონებული ხდება იმდროინდელ მმართველ წრეებში. ეს საკითხი ფართოდაა წარმოდგენილი ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ ფურცლებზე. მიწის რეფორმა, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918 წელს ეყრდნობოდა აქტებს მიღებულს უკვე არ არსებული ხელისუფლებათა მიერ³¹.

საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბება მოხდა იმ პერიოდში, როცა საქართველოს სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმი იწყებდა განვითარებას. კაპიტალიზმზე გარდამავალი სოფლის მეურნეობა ხასიათდებოდა მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებით. ახალ სოციალისტურ ორგანიზაციას უნდა მოეხდინა აგრარული საქმის ახალ დონეზე აყვანა, მაგრამ მენშევიკურმა მთავრობამ ის ვერ განახორციელა. მართალია, თავდაპირველად აგრარული რეფორმის პოლიტიკური ამოცანა: კერძომესაკუთრებული მიწების კონფისკაცია განახორციელა, მაგრამ ვერ შეძლო მათი რაციონალურად გამოყენება. მენშევიკების კრახი ბევრად განსაზღვრა მათი აგრარული პოლიტიკის კრახმა. საქართველო რუსეთის იმპერიაში პურის მომხმარებელი ქვეყანა იყო. მას შემდეგ რაც რესპუბლიკა იზოლაციაში მოჰყვა, პურის შემოტანა შეწყდა. რამაც გამოიწვია შიმშილიანობა. თუ კი შეიძლებოდა სადმე მიწის დამუშავება დაამუშავეს. რუსეთის იმპერიის ერთიან შრომის დანაწილებაში საქართველოში გავრცელდა ის დარგები, რომლებიც მონოპოლიურ კლიმატურ პირობებში იმყოფებოდა: ხილი, ჩაი, თამბაქო და სხვ. პურის დეფიციტმა გამოიწვია კულტურული მამულების გაჩანაგება. აჩეხა ვენახები, ბაღები. მენშევიკურმა მთავრობამ ვერ უზრუნველყო მიწების განაწილების

26 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 1, გვ. 4.

27 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 2, გვ. 34.

28 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 3, გვ. 20.

29 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 3, გვ. 38, № 4, გვ. 39.

30 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 3, გვ. 4.

31 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 5, გვ. 4. ამიერკავკასიის კომისარიატის 1917 წლის დეკემბრის დადგენილებას «О передаче земельным комитетам земель казенных, бывших удельных, церковных, монастырских, юридических лиц и частновладельческих». ამიერკავკასიის ს. იმის 1919 წლის 7 მარტის კანონს «Об определении норм земля, оставляемой владельцам, и о мерах осуществления земельной реформы» და ამიერკავკასიის მთავრობის 1918 წ. 2 და 20 მაისის კანონებს «О дополнениях к указаниям и о конфискации инвентаря» (საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 4, გვ. 28).

ორგანიზაცია, ვერ გაანაწილა მიწა გლეხებს შორის. არ იყო დადგენილი მიწის მფლობელობის ნორმები. დაიწყო მიწების თვითნებური და სტიქიური მიტაცება. სოფლად დიფერენციაციამ უფრო გაღრმავებული ხასიათი მიიღო. მიწებზე დავა მიმდინარეობდა არა მარტო პიროვნებებს, არამედ მთელ სოფლებს შორის³². მართალია 1917 წლის 16 დეკემბრის ამიერკავკასიის კომისარიატის კანონის 4 მუხლით შეიძლებოდა სამიწათმოქმედო კომიტეტების შეხედულებისამებრ იჯარით მიწის გაცემა, მაგრამ ეს არ ზრდიდა მიწათმოქმედების კულტურას. დროებით აღებულ მიწაზე მეურნეობრიობა ატარებდა მტაცებლურ ხასიათს. მეიჯარე ცდილობდა საიჯარო დროში რაც შეიძლება მეტი ამოეჩაჩა მიწისაგან.

ი. ირემაშვილის აზრით, დუშეთში, თიანეთში, ლეჩხუმსა და ცხინვალში გლეხთა აჯანყებები უპირველეს ყოვლისა აგრარული საკითხის მოუგვარებლობით იყო გამოწვეული. ამ რაიონებში, განსაკუთრებით დუშეთში, მცირემიწიანობის გამო და იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნამდე პური ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჰქონდათ აგრარულმა კრიზისმა კულმინაციას მიაღწია³³. მიწის პრობლემა დუშეთში იმიტომაც იყო სხვა რეგიონებზე მწვავე, რომ აქ ძირითადად ნატურალური მეურნეობა იყო გაბატონებული³⁴.

მენშევიკურმა მთავრობამ ვერ გადადგა რევოლუციური ნაბიჯი აგრარულ რეფორმაში. იგი მოიცვა უძრავობამ და უმოქმედობამ.

ფინანსური სიძნელეებიდან გამოსვლის ძიება სულ უფრო ამტკიცებდა აზრს მიწის გაყიდვის შესახებ და სოფლად კაპიტალიზმის არსებული ელემენტების რესტავრაციის მიმართულებით. სოფლის მეურნეობის კაპიტალიზმის გზით განვითარება ეკონომიკურ თეორიაში ნელ-ნელა გაბატონდა. 1918 წელს მენშევიკური მთავრობის უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ ვერ გაარკვია აგრარული პოლიტიკის მიმართულება: კაპიტალისტური სტიმულირების გზით ევლოთ, თუ განევითარებინათ ახალი ალტრუიზმი³⁵.

მენშევიკურმა მთავრობამ, მაშინ როცა ვერავითარი ღონისძიებით ვერ გადაჭრა სასურსათო კრიზისი, გადაწყვიტა მიწის გაყიდვა კერძო საკუთრებაში. სანამ უშუალოდ ამ საკითხს შეეხებოდნენ, საინტერესოა სასურსათო კრიზისის დაძლევისათვის ბრძოლის ერთი ისტორია, რომელშიც მონაწილეობდა ცნობილი ქაოთველი ეკონომისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი ფ. გოგიჩაიშვილი. ყურნალში გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა, რომ სასურსათო პრობლემის გადაჭრის მიზნით ადგილებზე ჯერ შექმნილა სასურსათო კომიტეტები, შემდეგ ის დაუშლიათ და შეუქმნიათ სურსათის სამინისტრო (მინისტრი ლორთქიფანიძე). აქ შექმნილა საქართველოში პურის დამზადების მთავარი რწმუნებულის თანამდებობა, რომლისთვისაც ხალხში „პურის დიქტატორი“³⁶ შეურქმევიათ. აღნიშნულ სამინისტროს და მის მინისტრს სახელი გაუთქვამს იმით, რომ

32 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 5, გვ. 2.

33 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 4, გვ. 5.

34 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 2, გვ. 13.

35 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 2, გვ. 53.

36 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 2, გვ. 17.

„ყიდულობდნენ ძვირად, ყიდდნენ იაფად“, რა თქმა უნდა თავისი ანგარებითი მიზნებისათვის. კერძო პირებიდან სამინისტრო ძვირად ყიდულობდა პურს, რომელიც შემდეგ ნაკლებ ფასებში იყიდებოდა. მინისტრი ლორთქიფანიძე (იგი იმავე დროს გზათა მინისტრიც იყო) გაანთავისუფლა მთავრობამ სახელმწიფო კონტროლიორის ფ. გოგიჩაიშვილის მიერ წაყენებული ბრალდებების საფუძველზე³⁷. რაც შეეხება მენშევიკების მიერ მიწის გაყიდვას საინტერესოა, რომ უკვე 1918 წლის ბოლოსათვის მომზადდა მიწების გაყიდვის კანონ-პროექტი, რომელიც სამ მთავარ პრინციპს ეყრდნობოდა: 1. მიწების შესყიდვა—მათ საფუძველზე მუნიციპალიზაციის შესაძლებლობის დაშვებით; 2. უმიწაწყლოთათვის შეღავათების გაწევა; 3. შესასყიდი მიწების რაოდენობის მაქსიმუმის დაწესება 7 დესეტინის ოდენობით (7,7 ჰა)³⁸. ეს იყო მენშევიკური მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების საბოლოოდ არჩევა, რაც არ შეიძლებოდა იმდროინდელ საქართველოში პოპულარული ყოფილიყო, რადგანაც დასავლეთ საქართველოში ფაქტიურად მიწები კერძო საკუთრებაში იყო გადასული და აღნიშნული კანონი არაფერს არ ცვლიდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ბატონყმური ურთიერთობა იყო შენარჩუნებული და მიწების შესყიდვა უმრავლესობისათვის შეუძლებელი იყო კანონპროექტით დაწესებულ ფასებში (დესეტინაზე 500-600 მანეთი)³⁹.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი მთავრობა სურვილებისა და შესაძლებლობების პროპორციებში დაიბნა. ახალგაზრდა სახელმწიფოს ყველაფრის ერთბაშად გაკეთება სურდა, მაგრამ არ შეეძლო. არახელსაყრელი საგარეო პირობები, თურქეთის იმპერიული ზრახვების აშლილობა, გერმანიასთან დადებული ხელშეკრულებების მოშლა გერმანიის საშინაო საქმეების შეცვლით 1918 წლის გერმანიის რევოლუციის გამარჯვების გამო, ახალი პარტნიორების ძიება, არასაიმედო მეზობლების ყოლა სახელმწიფოებრიობის პირველ თვეებში, დაბნეულობას იწვევდა მთავრობა ცდილობდა ეროვნული საქმეების მოგვარებას (ქართული უნივერსიტეტის გაძლიერება, ქართული კონსერვატორიის შექმნა), ალაზნის სარწყავი სისტემის გაყვანას (დაიწყო 1917 წელს), კოლხეთის დაშრობას და სხვ⁴⁰.

მენშევიკურმა მთავრობამ სახსრების ძიებაში ვერ გაარკვია რომელი წინადადებისათვის დაეჭირა მხარი — რომელიც ურჩევდა წარმოებისა და განაწილების ერთიანი სახელმწიფო ორგანოს შექმნას⁴¹, თუ პირადი ინციატივის აღორძინებას⁴². საგარეო კაპიტალი დაეშვა ქვეყნის შიგნით, თუ ეკონომიკურ კაბალაში აღმოჩენის შიშით მორიდებოდა მას, ვიდრე აქციების პაკეტი საქართველოს ხელში არ იქნებოდა. ამ უკანასკნელი თვალსაზრისით გერმანიასთან ხელშეკრულების ჩაშლა გადარჩენად იქნა აღქმული⁴³. მრეწველობის

37 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 2, გვ. 13.
 38 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 6, გვ. 7.
 39 იქვე, გვ. 9. დასავლეთ საქართველოში გლეხური მოსახლეობის 2/3 უმიწო იყო (იხ. М. Ц е р ц в а д з е, Логический конец идейных и организационных принципов грузинских меньшевиков, Тб., 1969, с. 34).
 40 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 5, გვ. 48.
 41 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 2, გვ. 27.
 42 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 1, გვ. 36.
 43 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 4, გვ. 11.

ოპორტუნისტული

ძირითადი წარმოებითი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების საკითხებისათვის აჭარის ასსრ მრეწველობაში

სკკპ XXVII ყრილობამ შეიმუშავა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგია, განსაზღვრა სახალხო მეურნეობის ინტენსიური განვითარების რელსებზე გადაყვანის გზები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა ყრილობაზე პოლიტიკურ მოხსენებაში აღნიშნა: „ცვლილებების არსია ყურადღების ცენტრი რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან გადავიტანოთ ხარისხისა და ეფექტიანობაზე, შუალედურიდან საბოლოო შედეგებზე, საწარმოო ფონდების გაფართოებიდან მათ განახლებაზე“¹.

ყრილობამ მიგვითითა, რომ „საჭიროა მთელი ჩვენი რეზერვების მაქსიმალური გამოყენება და უფრო გონივრული დავიწყოთ იმ რეზერვებით, რომლებიც არ მოითხოვს დიდ დანახარჯებს, სწრაფ და საგრძნობ ეფექტს კი იძლევა. საქმე ეხება ორგანიზაციულ-ეკონომიკურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, შექმნილი საწარმოო პოტენციალის უკეთ გამოყენებას... განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის, რომ ფონდების ყველაზე აქტიური ნაწილი — მანქანები, მოწყობილობა, ჩარხები ხშირად უქმად არის ან მთელი დატვირთვით არ მუშაობს. მაგალითად, მანქანათმშენებლობაში ლითონსაჭრელ ჩარხებს ერთ ცვლაზე ცოტა მეტ ხანს იყენებენ, მთლიანად სიმძლავრეთა არასრული დატვირთვის გამო ქვეყანას ყოველწლიურად აკლდება მილიარდობით მანეთის სამრეწველო პროდუქცია“²

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე აღინიშნა, რომ სახალხო მეურნეობის ძირითადი რგოლი — საწარმოო (გაერთიანება) ჯერ არ არის ჩაყენებული ისეთ ეკონომიკურ პირობებში, რომლებიც წახალისებდნენ მას დააკმაყოფილონ საზოგადოების მოთხოვნილება თავისი პროდუქციით და ეფექტიანად გამოიყენოს მთელი რესურსები. ივნისის პლენუმის მიერ მიღებულ იქნა ქვეყნის ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკური ზრდის ორიენტაციას, შეადაროს შუალედურიდან საბოლოო, სოციალურად მნიშვნელოვანი შედეგების მისაღწევად საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გადაქცევა ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორად; შეწონასწორების უზრუნველყოფას, მატერიალური რესურსებისა და სამომხმარებლო დოვლათის იმ დებიტორობის დაძლევას, რომელიც აბრკოლებს

1 სკკპ XXVII ყრილობის მასალები, თბ, 1986, გვ. 38.

2 სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ, 1986 გვ. 62. აღსანიშნავია, რომ აკად. ა. ავან-ბეგიანის გაანგარიშებით ქვეყნის სახალხო მეურნეობაში დაუტვირთავი სამუშაო ადგილების ღირებულება 200 მილიარდ მანეთს, ანუ მათი ღირებულების 12 % შეადგენს.

განვითარებაშიც, ისე როგორც აგრარულ სექტორში, კაპიტალისტური ორიენტაცია გამოიკვეთა 1918 წლის ბოლოს, როცა შეიქმნა შრომის სამინისტრო და დაიწყო შრომითი ხელშეკრულების კანონპროექტის შემუშავება კაპიტალსა და შრომას შორის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად⁴⁴.

ზემოთ მოტანილი 1918 წელს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის რეტროსპექტივა ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტი“ სტატიებზე დაყრდნობით, იმის საფუძველს იძლევა, რომ დავასკვნათ ზურაბ ავალიშვილის აზრის სისწორე 1918 წლისთვისაც: „საქართველო განუხორციელებელი შესაძლებლობების ქვეყნად რჩებოდა“⁴⁵.

საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით, ვფიქრობთ საინტერესოა აღნიშნულის გარდა კიდევ ორი ცნობა, რომელიც ეკონომიკის სფეროს გარეთ დგას, მაგრამ შეიძლება მკვლევარებს მხედველობიდან გამორჩეთ და ამიტომ აქ მოვიტან. პირველი ცნობა იმის შესახებ, რომ ახალქალაქისა და ახალციხის დატოვების შემდეგ ბორჯომ-ბაკურიანში ლტოლვილი ქრისტიანების რიცხვი უდრიდა 27.417 სულს, მათ შორის ქართველი 6.558 სული, სომეხი 20.879 სული⁴⁶ და მეორე ცნობა: „после выделения Грузии (26 мая н. с.) правительство Ное Рамишвили уступило место правительству Ное Жордания, в которое входят Ное Рамишвили, Чхенкели (Министр иностр. дел)“⁴⁷.

ამრიგად, დღევანდელ ჟურნალ „ეკონომისტი“ უშუალო წინამორბედთაგან პირველი ნომერი გამოვიდა 70 წლის წინათ. ამდენად, ვფიქრობთ, ჟურნალ „ეკონომისტი“ ნაცვლად „გამოდის 1925 წლიდან“ უნდა დაეწეროს „გამოდის 1918 წლიდან“. ამასთან, რადგან ჟურნალი მთელი რიგი წლების განმავლობაში არ გამოდიოდა, მიზანშეწონილია მითითებულ იქნას გამოცემის წელი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჟურნალი 1919-1925, 1941-1958 წლებში არ გამოდიოდა მაშინ 1988 წელი იქნება გამოცემის ორმოცდამეცხრე წელი და შესაბამისად ჟურნალს უნდა ეწეროს „გამოცემის XLIX წელი“.

М. Ч. ДЖИБУТИ

К ВОПРОСУ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ЭКОНОМИЧЕСКОЙ ПЕРИОДИКИ

Резюме

В работе установлена дата выхода журнала «Сакартвелოს ეკონომისტი» (Экономист Грузии). Впервые в грузинской экономической литературе даны опись и критический анализ опубликованных в журнале в 1918 г. статей.

წარმოდგენილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სოციალისტური ეკონომიკის განვითარების გამოცდილებების განზოგადებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილების მიერ.

44 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 6, გვ. 27.
45 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 1, გვ. 11.
46 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 2, გვ. 15.
47 საქართველოს ეკონომისტი, 1918, № 3, გვ. 48.

18872

მეურნეობის ეფექტიან გაძღოლას და წარმოების ინტენსიფიკაციას; სახალხო მეურნეობისა და უწინარეს ყოვლისა, მისი ძირითადი რგოლის — საწარმოს (გაერთიანების) ფუნქციონირების საიმედოდ მოქმედი ხარჯთსაწინააღმდეგო მექანიზმის შექმნას³.

საქმის ასეთი ვითარება მთლიანად და სავსებით ეხება აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობას და კერძოდ, მის ერთ-ერთ უდიდეს დარგს — მრეწველობას. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, არადამაკმაყოფილებელია საწარმოო აპარატის მდგომარეობა. განვიხილო ხუთწლედში 20 წელზე მეტი ხნის მოწყობილობის ხვედრითი წილი თითქმის გაორკეცდა. ახალ საწარმოთა აგებით დაუსაბუთებელი გატარება და მოქმედთა საჭიროების უკუღებულყოფა მტკიცედ დამკვიდრდა საგეგმო ორგანოებისა და ბევრი სამინისტროების მუშაობის პრაქტიკაში. ახალ ობიექტებს ხმარდებოდა მანქანებისა და მოწყობილობის დიდი ნაწილი, მოქმედ ფაბრიკა-ქარხნებში კი მოძველებულთა შეცვლა აღარ ხერხდებოდა, ძალიან ნელა მიმდინარეობდა ფონდების გაახლების პროცესი, უარესდებოდა მათი ასაკობრივი სტრუქტურა, ასე მაგალითად, გამოკვლეულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა ჯგუფში, მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე, მიღებული იქნა 2633 ერთეული 44,1 მლნ. მანეთის ღირებულების დანადგარი. ამავე პერიოდში ჩამოწერილი ან სხვა ორგანიზაციებზე ვაცემულია 1489 ერთეული 18,5 მლნ. მანეთის ღირებულების ძველი დანადგარ-მოწყობილობა. ამასთან ზოგიერთ საწარმოში (გემთმშენებელი, ტრანსფორმატორების, საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებელი ქარხნები) ექსპლოატაციაში შედიოდა 4-5-ჯერ მეტი ძირითადი ფონდები ვიდრე დემონტაჟი უკეთდებოდა ძველს, მორალურად და ფიზიკურად ვაცვეთილს. ამ მხრივ კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა საკავშირო-რესპუბლიკური, რესპუბლიკური და განსაკუთრებით ადგილობრივი დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებში.

ასეთი არასწორი პრაქტიკით გატაცების შედეგია, რომ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში აჭარის ასსრ მრეწველობაში ძირითადი ფონდების ზრდის ტემპი წინ უსწრებდა სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპს. ასევე შეინიშნებოდა ფონდშიარალების უპირატესი ზრდა შრომის ნაყოფიერების ზრდასთან შედარებით, მცირდებოდა ფონდუკუება. ანალოგიური მდგომარეობაა ქ. ბათუმის მრეწველობაშიც, რომლის ხვედრითი წონა ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის 81%-ს შეადგენს (იხ. ცხრილი).

სამრეწველო-საწარმო ძირითადი ფონდების, საასაქონლო პროდუქციის წარმოების, ფონდშიარალების, ფონდუკუებისა და შრომის ნაყოფიერების დინამიკა ქ. ბათუმის მრეწველობაში X და XI ხუთწლედში.

შრომის ნაყოფიერებისა და ფონდშიარალების დინამიკის არასასურველი თანაფარდობის მიზეზია, ერთის მხრივ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის შედარებით დაბალი ტემპები და, მეორეს მხრივ, არსებული შრომის იარაღების არასრული გამოყენება, რაც გამოხატულებას პოულობს საწარმოო სიმძლავრეების ათვისების დაბალ მაჩვენებლებში. ასე მაგალითად, ქალაქის ლითონდამამუშავებელ საწარმოთა ჯგუფში ცვლიანობის

³ საბჭოთა კავშირის კვ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1987 წლის 25-26 ივნისი, თბ. 1987, გვ. 107-108.

2. „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1988, № 4

ქაქ. სსრ კ. მაცნის
საბ. სსრ კ. მაცნის

(%-ში 1975 წ. შედარებით)⁴

მაჩვენებლის დასახელება	1976—1980 წ.წ.	1981—1985 წ.წ.
სამრეწველო-საწარმოო ძირითადი ფონდები	138,6	164,9
სასაქონლო პროდუქცია	133,0	159,6
ფონდშეიარაღება	126,6	144,3
ფონდუჯუგება	90,6	87,6
შრომის ნაყოფიერება	133,5	142,6

კოეფიციენტი 1,22 შეადგინა და ის ბოლო ხუთი წლის მანძილზე პრაქტიკულად არ შეცვლილა. ზოგიერთ მათგანში კი კერძოდ, მანქანათმშენებელ, მექანიკურ და გემთმშენებელ ქარხნებში, მან მხოლოდ შესაბამისად 1,17; 1, 18 და 0,9 შეადგინა. ასევე დაბალია დანადგართა დატვირთვა ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებშიც.

უკვე დაგროვებული საკმაოდ დიდი რაოდენობის შრომის საშუალებების მოცულობის ზრდის, აგრეთვე ეკონომიკის ინტენსიფიკაციის კვალობაზე იზრდება მარტივი კლავწარმოების როლი დაგროვებასთან შედარებით. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ძირითადი საწარმოო ფონდების განახლების მაღალი ტემპების შენარჩუნების კვალობაზე, თანდათანობით, წლიდან წლამდე ექსპლოატაციაში შემავალი ფონდების მთელ რაოდენობაში გაიზარდოს შეცვლისათვის განკუთვნილი ფონდების ხვედრითი წილი და შესაბამისად შემცირდეს ის წილი, რომელიც ახალი ფონდების შექმნას, დაგროვებას ხმარდება. ამჟამად ეს თანაფარდობა 1:3-დან 1:4-მდე შეადგენს. ჩვენ ვიზიარებთ იმ ეკონომისტების მოსაზრებას, რომლებიც ძველი საწარმოების ტექნიკური აღჭურვილობის დონის თანამედროვემდე ასამაღლებლად საჭიროდ თვლიან ამ თანაფარდობის 1:1-მდე აყვანას.

უკვე შექმნილი საწარმოო პოტენციალის მაქსიმალური, ინტენსიური გამოყენება დროის მოთხოვნით, ჩვენი სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარების აუცილებელი პირობაა. სწორედ ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერებას ეხება ლენინგრადის საოლქო პარტიული ორგანიზაციის ინციტივა, რომელიც სულ მალე აიტაცა ჩვენი ქვეყნის ბევრმა ეკონომიკურმა რეგიონმა.

ასალიზი გვარწმუნებს, რომ ქ. ბათუმის მრეწველობას აქვს ფონდუჯუგების ზრდის მნიშვნელოვანი რეზერვები. ორ და სამცხლიან მუშაობის რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებული პირველი რიგის დონისძიებების გატარება საშუალებას გვაძლევს გამოვათავისუფლოთ 260 ერთეული მანქანა-დანადგარი. მათ შორის 201 ერთეული მანქანათმშენებელი საწარმოებიდან, 19 — კვების მრეწველობა და 11 — ხისდამამუშავებელი და 29 — ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებიდან. 1986 წლის ბოლოს ჩამოწერილი დანადგარ-მოწყობილობიდან 94 ერთეული უკვე დემონტირებული იქნა.

გამონთავისუფლებული ჩარხების ღირებულება 307,7 ათას მანეთს შეადგენს. მათ შორის 162,3 ათასი მანეთის ღირებულების 96 ერთეული მანქანა-

⁴ ცხრილი შედგენილია აჭარის ასსრ სტატისტიკური სამმართველოს მასალების მიხედვით.

დანადგარი შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა საწარმოებში. ამავე დროს წარმოების დონის შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის საჭირო გახდა 24 ახალი ჩარხისა და დანადგარის შექმნა. მათ შორის 5 ახალი ჩარხი დასჭირდა მექანიკურ ქარხანას, სადაც ექსპლოატაციაში მყოფი მოწყობილობის 34 %-ს 20 წელზე მეტი ასაკი აქვს, 10 ერთეული სჭირდება საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებელ ქარხანას ახალ რესურსდამზოვი პროდუქციის გამოშვებისათვის და ა. შ.

განგარიშებამ გვიჩვენა, რომ საწარმოო პარკის შემცირებით კლებულბს ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება ხოლო არსებულის ინტენსიური გამოყენების შედეგად იზრდება გამოშვებული სასაქონლო პროდუქციის მოცულობა, რაც საშუალებას გვაძლევს ფონდუკუგება 10,9 %-ით გავზარდოთ. ასე მაგალითად, საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებელ და ტრანსფორმატორების ქარხნებში ძირითადი ფონდების 103,3 ათასი მანეთით შემცირების პირობებში სასაქონლო პროდუქციის მოცულობა შესაბამისად 5,6 და 6,4 პროცენტით გაიზარდა.

არსებული მდგომარეობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, განსაკუთრებით კი ლითონდამამუშავებელში, ერთობ ცუდად გამოიყენებოდა მანქანა-დანადგარები ცვლების მიხედვით. კერძოდ, მეორე და მესამე ცვლებში მუშაობდა მათი მხოლოდ შესაბამისად 20,3 და 0,2 %. გატარებული ღონისძიებების შედეგად უკვე 1987 წლის 1 იანვრისათვის მეორე ცვლაში მათი 34,3 % გამოიყენებოდა, 1987 წლის ბოლოსათვის კი ეს მაჩვენებელი 51,6 %-ს მიაღწევს. ამავე დროს ზოგიერთ საწარმოში კვლავ დაბალია ძირითადი ფონდების გამოყენების მაჩვენებლები. ასე მაგალითად, გემთმშენებელ ქარხანაში ძირითადი წარმოების მთელი მოწყობილობა, მათ შორის იმპორტულიც მხოლოდ ერთ ცვლაში მუშაობს. თვეობით ჭიანურდება ძვირადღირებული მაღალმწარმოებლური პროგრამული მართვის ჩარხების გაშვება-გაწყობის სამუშაოები, ამასთან ვერა და ვერ იცილებენ მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილ ჩარხ-დანადგარებს. 1986 წელს ჩამოწერეს მხოლოდ 9 ერთეული, მაშინ როდესაც 84 მათგანის ექსპლოატაციაში ყოფნის დრო 15—20 წელია, ხოლო 18-სა კი 20 წელზე მეტი⁵.

ლენინგრადელთა ინციატივის შემდგომი განვითარება და ქალაქის საწარმოებში დანერგვა საშუალებას გვაძლევს მეთორმეტე ხუთწლიდის ბოლოსათვის სამრეწველო საწარმოებში მოწყობილობის მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტი 1,6-1,8, ხოლო პროგრამული მართვის ჩარხებისა და ავტომატური ხაზებისათვის 1,9-მდე ავიყვანოთ, როგორც ამას სკკპ XXVII ყრილობის მიერ მიღებული „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებები“ ითვალისწინებს⁶.

აღსანიშნავია, რომ სამრეწველო საწარმოებში ბევრგან მოსამზადებელ მუშაობას შეუთავსეს განსაკუთრებით ძვირადღირებული, მაღალმწარმოებ-

⁵ ეკონომისტების განგარიშებით ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ძველი დანადგარ-მოწყობილობის გამოყენებით დანაკარგები 200-240 მლნ. მანეთს შეადგენს, რაც ეროვნული შემოსავლის წლიური ნამატის თითქმის ნახევარს შეადგენს.

⁶ სკკპ XXVII ყრილობის მასალები, თბ., 1986, გვ. 441.

ლური ჩარხებისა და დანადგარების გადაყვანა ინტენსიური შრომის რეჟიმზე. ეს უწინარეს ყოვლისა ეხებოდა პროგრამული მართვის ჩარხებს, ავტომატურ ხაზებს, მანიპულატორებს, იმ საამქროებსა და უბნებს, რომლებიც წარმოების „ვიწრო“ რგოლს შეადგენდნენ და ლიმიტირებას უკეთებდნენ საწარმოო სიმძლავრეებს. დათქმულ ვადაზე ადრე გადაიყვანეს ორ და სამცვლიან რეჟიმზე პროგრამული მართვის ჩარხების უბანი მანქანათმშენებელ და ელექტრომექანიკურ ქარხნებში. ამასთან ელექტრომექანიკოსებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს, რომ დანადგართა მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტის ზრდას აუცილებლად მოჰყოლოდა მათი დატვირთვის ინტენსივობის ზრდა. ეს მათთვის ძალზე საშური საქმე იყო, ვინაიდან მექანიკური საამქროს ერთ ცვლაში გამოყენებული სიმძლავრეები აფერხებდნენ ქარხნის სხვა უბნის მუშაობას, წარმოების „ვიწრო“ რგოლს წარმოადგენდნენ.

მრეწველობაში XII ხუთწლედისათვის დაგეგმილი ზრდის ტემპი მიღწეული იქნება ძირითადად საწარმოო სიმძლავრეების ინტენსიური გამოყენების ხარჯზე. წინასწარი გაანგარიშებით გამონთავისუფლდება და ამის გამო აღარ იქნება საჭირო 2490 კვ. მ. ახალი საწარმოო ფართობის აშენება, მათ შორის 1060 კვ. მ. შეიძლება გამოყენებულ იქნას საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად და სხვა სოციალური საკითხების გადასაწყვეტად. ამ გზით დაზოგილი კაპიტალური დაბანდების უმეტესი წილი კი გამოყენებული იქნება საბინაო მშენებლობისათვის, როგორც ამას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1986 წ) პლენუმის გადაწყვეტილებები მიგვითითებენ⁷. ასე მაგალითად, ეს თანხა მხოლოდ ორ საწარმოში: საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენ და ტრანსფორმატორების ქარხანაში 1112 ათას მანეთს შეადგენს.

ლენინგრადელთა მეთოდი განსაკუთრებით საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ იგი საწარმოო აპარატის დაჩქარებულ განახლებას უწყობს ხელს, ეკონომისტთა მიერ ჩატარებული გაანგარიშებანი გვიჩვენებენ, რომ ლითონსაყრელი ჩარხები, რომელთა ექსპლოატაცია გრძელდება ნორმატიული ვადის ზევით, როგორც წესი, ამცირებს თითოეული დანადგარიდან პროდუქციის გამოშვებას დაახლოებით 1000 მანეთით, ხოლო მისი საექსპლოატაციო დანახარჯები ახალთან შედარებით 1,5-2-ჯერ იზრდება.

აღნიშნავდა რა ამ კანონზომიერებას კ. მარქსი წერდა: „... რაც უფრო გადააცილებს მანქანა თავის სიცოცხლის შუა ხანს, მაშასადამე, რაც უფრო იზრდება ნორმალური გაცვეთა, რაც უფრო გამოიყენება და ბებრულად უძღურდება მასალა, რომლისაგანაც მანქანა არის გაკეთებული, მით უფრო მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი ხდება სარემონტო სამუშაოები, რომლებიც აუცილებელია მანქანის არსებობის შესანარჩუნებლად მისი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გასვლამდე“⁸.

ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილ ჩარხზე გაცილებით ძნელია მოცემული პარამეტრების ფარგლებში ნაკეთობის დამზადება, იზრდება წუნის ხვედრითი წილი. ლენინგრადელთა მეთოდით 2 და 3 ცვლიან რეჟიმზე გადასვლამ დადებითი გავლენა მოახდინა გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე: განხორციელდა ამორტიზირებული ჩარხების მასიური ჩამოწერა და ამის

⁷ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები 1986 წლის 16 ივნისი თბ, 1987, გვ. 23-25

⁸ კ. მარქსი, კაპიტალი, ტომი 2, გვ. 215-216.

ხარჯზე მაღალი სიზუსტის ჩარხების, პირველ რიგში, კი პროგრამული მართვის ჩარხებისა და აგრეგატების მუშაობის დროის გაზრდა, შესაბამისად ამალღდა მათზე დამზადებული დეტალების ხვედრითი წილი. ასე მაგალითად, 1986 წლის ნოემბერ-დეკემბერში მხოლოდ სამ ქარხანაში მანქანათმშენებელ, საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებელ და ელექტრომექანიკურ ქარხნებში 17 დასახელების დეტალის დამზადება დემონტირებული 4 უნივერსალური ჩარხიდან გადატანილი იქნა სპეციალურ და პროგრამული მართვის ჩარხებზე. მაღალმწარმოებლური დანადგარების გამოყენების ინტენსივობის ზრდაში, 1,5-2%-ით გააუმჯობესა მექანიკური საამქროების რიტმულობა, რამაც ასევე დადებითი გავლენა იქონია როგორც ამწყობი საამქროების გამართულ მუშაობაზე, ასევე გამომშვებული პროდუქციის ხარისხზე.

გათვალისწინებულა, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცეს საწარმოო აპარატს, მის პროფილაქტიკას, მოცდენების შემცირებას, მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტის გაზრდას, ხოლო კაპიტალურ რემონტზე დაზოგილი სახსრები გამოვიყენოთ ისევე საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების, მაღაზიების, სკოლების, საავადმყოფოების, ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობაზე. მაგრამ საქმის თავი და თავი მხოლოდ ერთი ჩარხის მეორეთი შეცვლა არარის, თუნდაც ეს უკანასკნელი მაღალმწარმოებლურიც იყოს და ელექტრონიკით აღჭურვილი. მთავარია უზრუნველყოფილი იქნეს მისი მაქსიმალური დატვირთვა. აქ კი მთელი სიგრძე-სიგანით წარმოგვიდგება არა მარტო ტექნიკური, არამედ სოციალური საკითხებიც.

Но вопрос о «типичном счете» этим не исчерпывается. Авторы не довольствуются столь обильными цифровыми данными «в переводе на рубли» и через несколько страниц, почему-то теперь уже в долларах, преподносят аналогичные, такие же детальные сведения: «...гражданам США за визит надо платить врачу 150 долларов, а вызов на дом стоит 25 долларов, обычный анализ крови — 10 долларов; один день пребывания в больнице (без оплаты лечения) обходится свыше 250 долларов, а операция — в среднем от 2 до 40 тыс. долларов...» (с. 76).

Случаев дублирования, ненужного повторения в учебнике не так уж мало.

Авторы трижды (!) повторяют, что в двенадцатой пятилетке оплата труда колхозников увеличится на 18—20% (см. с. 54, 139, 145). Сказанное на 54-ой странице — за годы двенадцатой пятилетки «среднемесячная заработная плата рабочих и служащих возрастет на 13—15% и достигнет 215—220 руб.» — с совершенно незначительным, к тому же излишним, добавлением («в среднем», «в 1990 г.») повторено на 139-ой странице. На 138-ой странице повторяется текст («источником роста общественного богатства, благосостояния народа и каждого человека является ... труд советских людей»), напечатанный (причем особо выделенный красным цветом) на 44-ой странице. Об одном и том же, о завершении в СССР перехода ко всеобщему среднему образованию, говорится на 13 и 87 страницах. Повторение имеет место также на 11 и 59 страницах учебника.

На 7-ой странице дается определение понятия источников права (с перечислением нормативных актов). То же самое делается на 20-ой

странице. В первом случае говорится о формулировании «правил (норм) поведения» «в законах и других актах» («государство обычно формулирует правила ... поведения в законах и других актах, которые называются также источниками права. Это конституции, законы, указы, постановления, распоряжения, приказы министров, решения местных Советов и др.»), а во втором — о формулировании «норм права» «в законах» («обычно государство формулирует нормы права в законах, которые называют также источниками права. Это Конституция СССР, конституции союзных и автономных республик, законы, указы и постановления Президиумов Верховных Советов, постановления и распоряжения Советов Министров, постановления Государственных комитетов, приказы министров, решения местных Советов и другие государственные акты, которые содержат правовые нормы»). В учебнике, конечно, совсем ни к чему подобные «разночтения», тем более — без соответствующих пояснений.

Словом, встает вопрос о целесообразной разгрузке учебника.

По-видимому, разгрузить учебный материал, добиться более четкого изложения отдельных правовых понятий и институтов возможно и путем усовершенствования структуры учебника. Приведем пример. В учебнике (с. 99—101) отдельно, в разных структурных частях говорится о конституционных обязанностях и о долге советских граждан, раздельно сгруппированы и в таком виде приведены соответствующие статьи Конституции СССР. Такое разделение представляется неоправданным. По Конституции СССР (гл. 7), понятие «долг» охватывается понятием «обязанность» и даже в учебниках советского государственного права для студентов юридических факультетов они излагаются вместе в виде обязанностей граждан СССР, без разграничения друг от друга. Достаточно сказать, что в одном из таких учебников («Советское государственное право» — учебник для студентов вузов, обучающихся по специальности «Правоведение», М., 1980, с. 267) статья 62 Конституции СССР («защита социалистического Отечества есть священный долг каждого гражданина СССР») изложена следующим образом: «защита социалистического Отечества является конституционной обязанностью каждого гражданина СССР, его священным долгом» (ср. с. 100 рецензируемого учебника, где защита социалистического Отечества рассматривается в качестве общественно-го долга, моральной обязанности граждан СССР).

Вот наглядный пример структурного несовершенства обсуждаемого учебника. На 189-ой странице, в той части 32-го параграфа, где изложены «вопросы и задания», сказано, что в отредактированной В. И. Лениным брошюре — «Исполняйте законы Советской республики!» — в популярной форме разъяснялось содержание упомянутого постановления». Этому «упомянутому постановлению» на указанной (189-ой) странице посвящен довольно пространственный текст. Но как бы ученик ни старался, он никак не уразумевает, о каком именно постановлении идет речь. Дело в том, что в предыдущем тексте автор не называют никакого постановления. Оно не упомянуто и на предшествующей (188-ой) странице, и даже во всем 32-м параграфе! «Упомянутое» якобы на 189-ой странице, в конце 32-го параграфа, постановление в действительности упомянуто на 178-ой странице, в начале 31-го параграфа. Как могло такое случиться? Произошло вот что. В предшествующих изданиях учебника, в соответствующем параграфе рассказано о работе VI Всероссийского съезда Советов. Отмечено, в частности, что съезд принял историческое постановление «О точном соблюдении законов». Вслед за этим сказано, что по ука-

занию В. И. Ленина была написана специальная брошюра, в которой и разъяснялось содержание «упомянутого постановления». Тут все ясно и понятно, а в рецензируемом издании — наоборот. В нем текст механически разделен на две части: одна, в которой названо постановление, оставлена на прежнем месте; другая же, содержащая указание на «упомянутое» выше постановление, без должной обработки перенесена в последующий параграф, в результате чего и получилась этакая конфузная ситуация.

В обсуждаемом издании порой отсутствуют данные, которые нужны ученику для того, чтобы выполнить имеющееся в учебнике задание, ответить на проверочные вопросы. Предшествующие издания, в отличие от рецензируемого, на такие случаи были снабжены подобающими документальными материалами (в виде приложения к отдельным главам). В последнем издании такие материалы изъяты, а связанные с ними отдельные вопросы и задания остались и, таким образом, повисли в воздухе.

К примеру, авторы дают задание ознакомиться с Положением о Государственном флаге СССР и определить — как в этом символе (вместе с Гимном и Гербом СССР) отражена социалистическая сущность Советского государства (с. 36). Что делать ученику (да и учителю тоже!), если в учебнике не только не приведен нужный материал, но даже не указывается, где опубликовано это Положение? А вот в издании 1984 года напечатана соответствующая выдержка из упомянутого Положения (с. 180).

В прежние издания включены извлечения из Правил дорожного движения. При их отсутствии в новом издании мало кто сможет должным образом разобраться вот в такой ситуации: «член отряда юных инспекторов движения остановил на проезжей части дороги 12-летнего велосипедиста. Какие правонарушения им были совершены? С какого возраста велосипедистам разрешается выезжать на проезжую часть дороги?» (с. 189).

Еще один пример. Авторы в предшествующих изданиях четко выделяли в тексте обязанности учащихся по Основам законодательства Союза ССР и союзных республик о народном образовании («Основы законодательства о народном образовании предусматривают обязанности учащихся: систематически...») и, не довольствуясь этим, вдобавок отсылали к приведенным в конце учебника документальным материалам — к соответствующим статьям упомянутых Основ. Естественно, это создавало возможность обстоятельно ответить на поставленный авторами вопрос — какие обязанности учащихся закреплены в Основах законодательства о народном образовании? (см., в частности, изд.: 1975 г., с. 56, 60, 151—152; 1982 г., с. 73, 84, 179—180). Иначе обстоит дело в нынешнем издании, где поставлен тот же самый вопрос, но нет ни документального материала, ни прежнего прямого, четкого указания в тексте на то, что обязанности учащихся излагаются именно по Основам законодательства о народном образовании (см. с. 88, 101).

В новом издании, в отличие от прежних, отсутствует и краткий юридический «словарь»-приложение. Между тем, продуманно составленный, доходчивый словарик во многом помог бы учащимся в понимании и усвоении правовых терминов и понятий. Надо учесть и то, что в тексте не всегда удается раскрыть содержание того или иного термина. Так, в учебнике не дается надлежащее, полное представление о сущности конфискации имущества (с. 161, 170, цветные вклейки в конце учебника — «Административная ... ответственность» и

«Виды уголовного наказания...»). Термин «суверенитет» в первый раз приведен на 60-ой странице, но его определение дается лишь много дальше — на странице 109-ой, при втором употреблении термина. Неточность допущена в применении термина «гражданские правоотношения»: вместо него на 19-ой странице напечатано — «гражданские отношения».

В учебнике раскрыта аббревиатура ДОСААФ (с. 39), но почему-то не разъяснены явно не менее сложные сокращения, как-то: НАТО (с. 14), ЮНЕСКО (с. 57), РСД — БР и КР (с. 62, схема Программы ядерного разоружения). Наверно, следовало бы также пояснить: роялист (с. 27), форзац (с. 33, 109), наказания избирателей (с. 34), мешанин (с. 85), закон божий (с. 93) и Новый Свет (с. 119).

Желательно более доходчиво изложить смысл «запретов на профессию» (с. 138), сказать яснее — выполнение чего именно организуют депутаты (с. 33), отредактировать стилистически отдельные предложения, в частности, на с. 46 (в предложении — «социалистической собственностью является государственная..., колхозно-кооперативная, а также собственность профсоюзных... организаций» — после «колхозно-кооперативной» следует прибавить «собственность»: «...колхозно-кооперативная собственность, а также...»), на с. 123 (совершенно неуместно «по меньшей мере» в предложении — «из 13 членов правительства ... по меньшей мере 12 являются миллионерами»), на с. 141 (в тексте — «на одном полюсе доведенная до нищеты жительница Нью-Йорка выбрасывается ... англичанин продает свою ... кожу ... На другом полюсе американский нефтепромышленник Гетти обладает состоянием...» — уместнее было бы «на одном полюсе» и «на другом полюсе» заменить выражением «два полюса»: вот два полюса — две полные противоположности...), на с. 177 (названы всего два варианта действия — сорвать в парке цветок и похитить у пьяного шапку, а вопросы к ним почему-то поставлены во множественном числе: какие из этих действий являются преступлениями и какие — проступками?).

Третья часть 17-го параграфа по ошибке обозначена как 2-ая (см. с. 113, ср. с. 109).

На цветной вклейке в конце учебника («Обязательства гражданские») говорится о возникновении внедоговорного обязательства вследствие нанесения (!) ущерба лицом при спасении социалистического имущества, в законе же имеем — вследствие вреда, понесенного (!) гражданином при спасении социалистического имущества от угрожавшей ему опасности (ст. 95 Основ гражданского законодательства Союза ССР и союзных республик. См. также гражданские кодексы: РСФСР — ст. 472; Грузинской ССР — ст. 485).

Изложение, трактовка учебного материала не всегда внушает доверие и в отношении объективности, правдивости. Замечается стремление авторов учебника приукрасить нашу действительность, смотреть на нее сквозь розовые очки. Такой подход совершенно неприемлем в условиях перестройки и гласности, когда партия настойчиво добивается полной правды во всех сферах нашей государственной и общественной жизни.

По словам авторов, «Советская власть ... навсегда покончила... с классовыми противоречиями» (с. 11). Тут следует говорить не о противоречиях, а об антагонизмах, как это записано в преамбуле Конституции СССР 1977 года («Советская власть... навсегда покончила ... с классовыми антагонизмами»). Вообще известно, и В. И. Ленин прямо указывал, что антагонизм и противоречие



не одно и то же. При социализме антагонизм, непримиримо враждебное противопоставление интересов исчезает, а противоречие остается. Генеральный секретарь ЦК КПСС М. С. Горбачев на январском (1987 г.) Пленуме Центрального Комитета партии строго раскритиковал такую обстановку, когда «социальная структура общества изобразилась схематично как лишенная противоречий и динамизма многообразных интересов его различных слоев и групп» (газ. «Правда», 28.I.1987, № 28, с. 1). В статье «О диалектике развития социалистического общества» академик А. Егоров пишет, что «социализм устраняет антагонизм классов и социальных групп, дух враждебности в отношениях между ними. Но противоречия, расхождения в интересах не снимаются. Есть специфические интересы классов, социальных групп и слоев, а также наций, народностей, имеющих свои традиции» («Правда», 3.III.1988, № 63, с. 3).

Авторы возвещают, что «ныне советские люди ... успешно строят коммунизм», а «нынешние 15—16-летние школьники ... будут ... обеспечивать полное торжество коммунизма» (с. 72—73, 190). Кстати, о «нынешних» 15—16-летних школьниках, призванных обеспечивать полное торжество коммунизма, авторы постоянно и томительно однообразно предвозвещают с 1978 года (см. в изд. 1978 и 1979 гг. — с. 64, 1982 г. — с. 61, 1984 г. — с. 60). Так что этим бывшим школьникам уже по 25—26 лет! Тем не менее, с их стороны пока никаких признаков обеспечения даже неполного торжества коммунизма не замечается. Такого рода «пророчеству» не должно быть места в учебнике. Хорошо известно, чем закончилось в недалеком прошлом подобное прогнозирование даже в Программе КПСС. Стремление определить хронологические рамки построения коммунизма в нашей стране на самом высоком уровне потерпело неудачу и вполне справедливо отброшено. В учебнике отражены чрезмерно «облегченные представления о ... сроках ... коммунистического строительства». XXVII съездом КПСС принята «программа планомерного и всестороннего совершенствования социализма, дальнейшего продвижения советского общества к коммунизму», выполнение которой «выходит за пределы текущего столетия» (Материалы XXVII съезда КПСС, М., 1986, с. 93—94, 122). Принципиальное значение имеет указание М. С. Горбачева: «легковесные представления о коммунизме, разного рода пророчества и абстрактные суждения» снижают историческое значение социализма, ослабляют воздействие социалистической идеологии (см. доклад на Пленуме ЦК КПСС 27 января 1987 года — «Правда», 28.I.1987, № 28, с. 1).

По явно преувеличенным представлениям авторов рецензируемого издания, высоконравственными качествами обладают все без исключения советские люди. Авторы пишут, что «каждый советский человек имеет чувство высокоразвитого общественного долга, правильно понимает свою ответственность за наше общее дело — строительство коммунизма» (с. 100). Соответствующее место верно было представлено в предыдущих (1974, 1975, 1976, 1978, 1979, 1982 и 1984 годов) изданиях («каждый советский человек должен обладать чувством..., правильно понимать свою...»).

Авторы учебника приписывают Центральному Комитету партии практически невыполнимую задачу — активно включить каждого человека в борьбу с пьянством и алкоголизмом: «Центральный Комитет партии выразил уверенность, что в эту борьбу активнее включатся все ... организации, каждый человек» (с. 179). Такой мысли, вопреки заявлению авторов, нет в постановлении ЦК КПСС от 7 мая

1985 г. о мерах по преодолению пьянства и алкоголизма (см. газ. «Известия», 17.V.1985, № 137, с. 1). Ее и не могло быть. Сравнительная степень «активнее» подразумевает, что к моменту принятия данного постановления каждый человек якобы уже включен, к тому же активно, в указанную борьбу и теперь в этом деле надо добиваться большей действенности. Несостоятельность такого подхода очевидна. Немалое количество людей не то чтобы хоть неактивно, а вообще не включено в борьбу с пьянством и алкоголизмом. Многие же граждане сами нарушают антиалкогольное законодательство. Газеты сообщают: «число осужденных за изготовление самогона и других крепких спиртных напитков домашней выработки в 1986 г. по сравнению с 1985 годом увеличилось в два с половиной раза, а по сравнению с 1984 годом более чем в 6 раз»; «особую тревогу вызывает рост спекуляции спиртными напитками»; «за неделю ... на улицах Москвы задержано свыше 7 тысяч пьяных»; «среди детей распространяется пьянство», «особенно пагубно на подростках отражается «семейное» самогонование, получившее в иных регионах беспрецедентные масштабы» (см.: «Московская правда», 17.XII.1987, № 288, с. 3; «Правда» за 1988 г. — 1.I, № 1, с. 3, 27.V, № 148, с. 4 и 25.VI, № 177, с. 6). В такой обстановке, конечно, нереально, да и несерьезно, говорить об активном включении каждого человека в борьбу с пьянством и алкоголизмом.

То же следует сказать о мнении авторов учебника относительно добровольного исполнения всеми правовых норм: «законность в СССР обеспечивается ... добровольным исполнением всеми правовых норм...» (с. 179). В условиях социалистического строя нормы права, законы добровольно исполняются подавляющим большинством (!) общества (граждан). Если бы правовые нормы добровольно исполнялись всеми, то отпала бы необходимость в существовании правоохранительных органов. На деле же этим органам, к сожалению, приходится вести борьбу с организованной преступностью, с мафией; в печати сообщается о наворованных миллиардах, о подпольных миллионерах и наемных убийцах, о преступниках, которые располагают собственным репрессивным аппаратом и даже частной подземной тюрьмой (см.: «Правда», 23.I.1988, № 23, с. 3; «Огонек», 1988, № 19, с. 28—30; «Литературная газета», 20.I.1988, № 3, с. 13).

Что же получается? В учебнике проповедуем одно, а на глазах молодежи происходят другие процессы и явления. Учитывая услышанное и увиденное в повседневной жизни, школьник ни за что не поверит, скажем, тому, что в борьбу с пьянством и алкоголизмом активно включен каждый человек. Никто не сможет по-настоящему убедить ученика в том, что каждый советский человек имеет чувство высокоразвитого общественного долга. Вполне резонным будет с его стороны вопрос: если правовые нормы добровольно исполняются всеми, то откуда берутся у нас разного рода преступники? Легко может случиться, что почуяв необъективность, школьник и правде не поверит. Словом, неправдивость порождает недоверие, стало быть, подрывает основы обучения и воспитания.

И, наконец, об одном немаловажном обстоятельстве. Опасность отрицательных учебно-воспитательных последствий правовых неточностей, ошибок и искажений, допущенных в рецензируемом учебнике, усугубляется тем, что подавляющее большинство преподавателей школьного курса основ Советского государства и права не имеет

юридического образования. Большинство они специалисты по обществоведению, историки и им, естественно, совсем нелегко разобраться в правовых вопросах, в различных погрешностях юридического характера.

Своевременный и должный учет изложенных критических замечаний, думается, будет способствовать правильному, действительно хорошему усвоению учащимися столь необходимых и важных для них правовых знаний.

Обучение основам Советского государства и права по рецензируемому учебнику в нынешнем его виде, без соответствующих пояснений, кажется недопустимым, особенно в свете указаний XXVII съезда КПСС и XIX Всесоюзной партийной конференции по правовому воспитанию подрастающего поколения.

Представлена сектором права Института экономики и права АН ГССР.

ბიოგრაფიული ნაშრომი

სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხი თანამედროვე
სამეცნიერო ლიტერატურაში: პროტოსახელმწიფო, როგორც
პოლიტიკური სტრუქტურა

თუ ისტორიული მეცნიერება არის დასაბუთებული ცოდნის სისტემა, რომელიც ობიექტურ სინამდვილეს ასახავს, მაშინ გასაგები მიზეზების გამო. ყოველი და მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების შემოწმებული და სანდო მასალების გამოვლენას შეუძლია ჩვენი წარმოდგენა შეცვალოს ისტორიული კანონზომიერების ამა თუ იმ ასპექტის შესახებ.

სახელმწიფოს წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მასალები იქნა შეგროვილი საერთოდ XX საუკუნეში და განსაკუთრებით კი მიმდინარე საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული.

სამეცნიერო მიმოქცევაში აფრიკული, აზიური, ამერიკული, ოკეანის მასალის შემოსვლამ გაამდიდრა ჩვენი ცოდნა პირველყოფილი და ადრეკლასობრივი საზოგადოებების შესახებ. შესაძლებელი გახდა პროტოსახელმწიფოს შესახებ პრობლემის დასმა და მეცნიერული მსჯელობა.

1940 წელს ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა ცნობილი კრებული — „აფრიკული პოლიტიკური სისტემები“, მკვლევარების ე. ევანს-პრიჩარდისა და მ. ფორტესის რედაქციით.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თეორიული ხასიათის წერილი, რომელიც წინასიტყვაობის სახით ერთვის ხსენებულ კრებულს და ეკუთვნის ცნობილ ბრიტანელ ანთროპოლოგს რედკლეფ-ბრაუნს¹.

კრებულის რედაქტორებისა და წინასიტყვაობის ავტორისათვის სავსებით ცხადია ის გარემოება, რომ პირველყოფილი საზოგადოების წიაღში პოლიტიკური სტრუქტურის წარმოშობა გარკვეული სოციალ-ეკონომიკური და კულტურული პროგრესის შედეგია. კრებულში მოთავსებული მასალებიდან ჩანს, რომ აფრიკაში არსებობდნენ ისეთი ეთნიკური ერთობანი, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩავთვალოთ ცენტრალიზებულ პოლიტიკურ სტრუქტურებად, მაგრამ მათ წიაღში უკვე ჩანასახის სახით მოცემული იყო ასეთი პოლიტიკური სტრუქტურის წარმოშობის აუცილებლობა.

ამასთან ერთად აღნიშვნის ღირსია რედკლეფ-ბრაუნის საყურადღებო მოსაზრებაც, რომ რელიგიური მოვლენები, საკრალური ინსტიტუტები შესწავლილ უნდა იქნას სოციალური სტრუქტურის შემადგენელ ნაწილებად.

¹ The Early State. Paris. 1978. Classen H. I. M. Skalnik. Ubi sumus? The Study of the State. О ля Б. «Боги Тропической Африки», М., 1976; Кларк Д. Д. «Дог историческая Африка», М., 1977; Васильев А. С. Протогосударство—цифдом как политическая структура, Народы Азии и Африки, № 1, 1981.

აფრიკანისტების მიერ შეგროვილი ეთნოგრაფიული და სხვა მასალები, ნაშრომები, რომლებიც ეხებოდნენ მათ ინტერპრეტაციას, წარმოაჩენდნენ საზოგადოებას, რომელსაც გარდამავალი ხასიათი აქვს და მიუთითებდნენ მის სტრუქტურულ თავისებურებებზე.

უკანასკნელი ათი-თორმეტი წლის განმავლობაში აფრიკული მასალა უხვად შემოდის მეცნიერულ მიმოქცევაში. როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე საზღვარგარეთული მკვლევარები აქვეყნებდნენ საინტერესო ნაშრომებს, რომლებშიც გამოვლენილია აფრიკის რიგ ქვეყნებში სახელმწიფოს წარმოშობის ფაქტორები, პროტოსახელმწიფოების განვითარების სტადიები და მათი დამახასიათებელი ნიშნები განვითარების სხვადასხვა საფუძველზე.

ჯონ ფეიჯი 1978 წელს გამოცემულ წიგნში — „აფრიკის ისტორია“, გამოთქვამს საყურადღებო მოსაზრებას, რომ აღმოსავლეთ ვენეაში — ბენინის უბის სანაპიროზე მძლავრი სახელმწიფოს წარმოქმნელი ფაქტორი უნდა ყოფილიყო ვაჭრობა; ეს უკანასკნელი იყო ხელშემწყობი ძალა სიმდიდრის აკუმულაციისა და მონარქიული ხელისუფლების განვითარების საქმეში.

ინგლისელი მკვლევარი რ. ლო (Law R.) გამოთქვამს დასაბუთებულ მოსაზრებას, რომ თიოს იმპერიის რეგიონში სამეფო ხელისუფლება ადგილობრივი წარმოშობისა იყო, ყველგან სადაც სათანადო სოციალ-ეკონომიკური და სხვა პირობები არსებობს. შეიძლება წარმოიშვას სახელმწიფო ხელისუფლება.

წინარესახელმწიფოებრივი წარმონაქმნების კვლევის პროცესში დასავლეთის მეცნიერებმა შემოიტანეს „სემეგენტური სახელმწიფოს“ ცნება. მასთან ერთად გამოჩნდა „ჩიფდომ“-ის და „ადრეული სახელმწიფოს“ ცნებები. თანდათანობით ხსენებულმა ცნებებმა გზა გაიკვლიეს როგორც დასავლეთის, ასევე სოციალისტური ქვეყნების სამეცნიერო წრეებში „ჩიფდომ“-ისათვის საბჭოთას სამეცნიერო ლიტერატურაში გამოჩნდა მისი რუსული შესატყვისი: **ЕОЖДЕСТВО**-ს სახით².

უხვი და საინტერესო აფრიკული მასალის გვერდით, მეცნიერებას თანდათან შეემატა სხვლე მუშაობისა და კვლევის შედეგები ამერიკის კონტინენტიდან, ოკეანიიდან. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია პოლინეზიაში მოპოვებულმა მასალებმა, რომლებშიაც თავისი პირველყოფილი უმუალობით გამოჩნდა სახელმწიფოების ჩასახვა-განვითარების პროცესი. თანაც ხსენებული მასალების ფასს ისიც ზრდიდა, რომ პოლინეზიაში არ იგრძნობოდა როძელიმე მაღალგანვითარებული საზოგადოების გავლენა. აქ ჩვენს წინაშეა საზოგადოების განვითარების პროცესის მეტად საინტერესო სურათი.

ტერმინი „ჩიფდომ“ მეცნიერებაში შემოიტანა ე. სერვისმა, ხოლო მკვლევარმა ჰ. ჯ. კლესსენმა კი „ჩიფდომ“-ის, როგორც წინარესახელმწიფოებრივი პოლიტიკური სტრუქტურის, ინსტიტუტის ძირითადი ნიშნები ჩამოაყალიბა:

1) ისეთი ცენტრალური ხელმძღვანელის არსებობა, რომელიც მეტნაკლებად განვითარებული ხასიათისაა, მაგრამ პოლიტიკურ ლიდერებს ისეთი მყარი და მუდმივი, დაკანონებული ძალაუფლება არ გააჩნიათ, რომ თავიანთი გადაწყვეტილებანი სისრულეში მოიყვანონ; 2) ჩიფდომის ხელმძღვანე-

² Кочакова Н. Б. Рождение африканской цивилизации. Ифе, Ойо, Бенин Дагомья, М., 1986, გვ. 12-13.

ლობას არ გააჩნია შესაძლებლობა ხელი შეუშალოს, ხსენებული პოლიტიკური წარმოქმნის დაშლას, დანაწილებას. 3) ჩიფდომის მოსახლეობა უკვე იყოფა მმართველ და სამართავ ფენად. მაგრამ ამ ფენებს შორის არ არის დაუძლეველი ზღვარი. განსხვავება მმართველ და სამართავ ფენებს შორის ძირითადად ნათესაური კავშირების მეშვეობით განისაზღვრება. არსებობს ტენდენცია პრივილეგიების განვითარებისაკენ, პრივილეგიებს საქორწინო კავშირების მეშვეობით აღწევენ. 4) მმართველი ფენა უკვე მოიხმარს ზედმეტ პროდუქტს, არსებობს ამ საკითხის მომწესრიგებელი სოციალური ინსტიტუტებიც, მაგრამ ისინი არასაკმაოდ არიან განვითარებულნი და არაიშვიათად შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ გამოიყენება. არც ხაჩკი, არც სახარკო საჩუქრები არ წარმოადგენენ მმართველი ფენის არსებობის ერთადერთ წყაროს. 5) „სატომო საზოგადოებებს“, ნ. ბ. კოჩაკოვას აზრით — ჩიფდომის შემადგენელ ნაწილებს, აქვთ ჩიფდომისათვის საერთო იდეოლოგია. ეს იდეოლოგიური ერთობა, უფრო ვრცელი და მტკიცეა, ვიდრე კლასობრივ საზოგადოებებში.

სათანადო მასალების ყურადღებით შესწავლის შემდეგ მკვლევარებმა შენიშნეს, რომ არსებობდნენ მარტივი და რთული საბელადოები — „ჩიფდომ“-ები. რ. ნ. ადამსის აზრით, ჩიფდომ-ების პერიფერიული მეზობლები ხშირად ნებაყოფლობით ამყარებდნენ პატრონატულ-კლიენტური სახის ურთიერთობას მასთან. იბლბიანი სამხედრო ბელადები არაიშვიათად ამ გზით აფართოებდნენ თავიანთ სამფლობელოებს. ჩიფდომების ინტეგრაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ბელადის იდეოლოგიური, საკრალური ფუნქცია, „ბელადის საკრალური დიდება“.

ჩიფდომების ინტეგრაციის შედეგად თანდათან იქმნებოდა მართვის იერარქიული სტრუქტურა რთულ ჩიფდომში უკვე, ზოგიერთი მონაცემების მიხედვით, მონებიც უნდა გაჩენილიყო.

ჩიფდომ-ების ფუნქციათა შესახებ არ არსებობს აზრთა ერთიანობა. რიგი ავტორების მიხედვით ჩიფდომისათვის მთავარი იყო სამხედრო ფუნქცია. ცხადია, ჩიფდომ-ებისათვის, პროტოსახელმწიფოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქონდა სამხედრო ფუნქციას. ერთხანს ცალკე განვითარების სტადიად იყო გამოყოფილი, „სამხედრო დემოკრატიის“ ხანა. ლ. მორგანისა და ფრ. ენგელსის მოსაზრებები „სამხედრო დემოკრატიასთან“ დაკავშირებით ზოგმა მკვლევარმა ისე გაიგო, რომ პოლიტიკური სტრუქტურის ევოლუციაში ის მიიჩნია უნივერსალურ მოვლენად.

ხსენებულ ფენომენს რიგი მკვლევარებისა არ თვლის პირველყოფილი საზოგადოების განვითარების სავალდებულო ეტაპად (ი. ვ. ბრომლეი, ა. ი. პერშიცი და სხვ.).

მოპოვებული მასალების დღევანდელ საფეხურზე საკითხი საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი.

საკითხის საბოლოო გადაწყვეტა დამოკიდებულია სპეციალური სამეცნიერო და ფილოსოფიური ცოდნის განვითარების დონეზე.

იხილავს რა კლესენის მოსაზრებებს, ნ. კოჩაკოვა მართებულად აღინიშნავს, რომ ჩიფდომ-ი ეს წინაკლასობრივი პოლიტიკური წარმონაქმნია,

³ Classen H. I. M., Skalnik P., Ubi sumus? The study of the State.. 1981. p. 490; Кочакова Н. Б. Рождение африканской цивилизации. М., 1986, с. 13-14.

სადაც ა) ტერიტორიულ-ნათესაური კავშირები ბატონობენ და სადაც შეი-
ნიშნება სოციალური იერარქია „მმართველი — სამართავის“ ტიპისა, რომე-
ლიც გვარების იერარქიას ეყრდნობა;

ბ) მმართველი ფენა ეკონომიურად ჯერ კიდევ არ არის გამოთიშული
მეთემეთა მასისაგან. არც ხარკი, არც სახარკო საჩუქრები არ ატარებენ სის-
ტემატურ ხასიათს, არ შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების ეს ფენა მთლია-
ნად ცხოვრობდა ზედმეტი პროდუქტის გასხვისების ხარჯზე;

გ) არ არსებობდნენ იძულების ორგანოები; დ) ჩიფდომ-ის მოსახლეო-
ბის ინტეგრაციის ხელშემწყობი საშუალებები იყო: ცენტრალური ხელმძღვა-
ნელობის და საერთო იდეოლოგიის არსებობა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ
ხსენებული გაერთიანების ცენტრალურ ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ არ
გააჩნდა აპარატი, რომელიც მის გადაწყვეტილებას ცხოვრებაში გაატარებდა.
ჩიფდომის ერთობა, მისი მეტნაკლები სიმტკიცე საერთო იდეოლოგიას,
რელიგიას ეყრდნობოდა.

ნ. კოჩაკოვა და სხვა მკვლევარები, არც თუ უსაფუძვლოდ, მიუთითებენ,
რომ „ჩიფდომ-ის ცნება ჯერ კიდევ ზუსტად არ არის ჩამოყალიბებული. არ
არის გარკვეული, თუ რა ადგილი უკავია მას წინაკლასობრივ და ადრეკლას-
ობრივ საზოგადოებათა ჰოტესტარულ-პოლიტიკურ სტრუქტურაში.

მკვლევარმა ერთმანეთისაგან უნდა განასხვავოს კლასების წარმოშობის
ეპოქა ადრეკლასობრივი საზოგადოებისაგან. ზოგჯერ ამ უკანასკნელს „ფეო-
დალიზმამდელ პერიოდსაც“ უწოდებენ (ა. ი. ნეუსი-ხინ-ი).

პირველყოვლისა სამეცნიერო ლიტერატურაში დაისვა მნიშვნელოვანი
საკითხი: ჩიფდომ-ი, როგორც პოლიტიკური სტრუქტურა უნივერსალური მო-
ვლენაა თუ ლოკალური?

უპირატესობა, როგორც ჩანს, უნდა მიეცეს მოსაზრებას, რომ „ჩიფდომ“-ი
უნივერსალური მოვლენაა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ხსენებული
პოტესტარულ-პოლიტიკური სტრუქტურა ყველგან, ყოველთვის და ყოველ
რეგიონში ერთმანეთს ზედმიწევნით ჰგავდეს.

კ. მარქსი წერდა: „საწარმოო პირობების მესაკუთრეთა უშუალო დამო-
კიდებულება უშუალო მწარმოებლებთან, დამოკიდებულება, რომლის ყოვე-
ლი მოცემული ფორმა ყოველთვის ბუნებრივად შრომის წესის განვითარე-
ბის განსაზღვრულ საფეხურს და, მაშასადამე, მის საზოგადოებრივ საწარმო-
ძალას შეესაბამება, — აი ის, რაშიც ჩვენ ყოველთვის ვპოულობთ მთელი
საზოგადოებრივი წყობილების და, მაშასადამე, სუვერენიტეტისა და დამო-
კიდებულების პოლიტიკურ ფორმას, მოკლედ ყოველი მოცემული სპეციფი-
ური სახელმწიფოებრივი ფორმის შინაგან საიდუმლოებას, მის ფართულ საფუ-
ძველს.

ეს ხელს არ უშლის იმას, რომ ერთი და იმავე ეკონომიურ საფუძველს,
ერთსადაიმავე მთავარი პირობების მიხედვით, უთვალავ სხვადასხვა ემპირიულ
გარემოებათა, ბუნებრივ პირობათა, რასულ ურთიერთობათა, გარედან მოქ-
მედ ისტორიულ გავლენათა და სხვათა მეოხებით, შეუძლია გამომჟღავნების
დროს ისეთი დაუსრულებელი ვარიაციები და გრადაციები გვა-
ჩვენოს, რომლის გაგებაც ამ ემპირიულ მოცემულ გარემოებათა საშუალე-
ბით შეიძლება“⁴.

4 კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. 111, ნაწ. 11, გვ. 310-311, თბილისი, 1934.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კ. მარქსის 'მოსაზრება, რომ ერთსა და იმავე ეკონომიურ საფუძველზე, ერთსა და იმავე მთავარი პირობების მიხედვით, კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში მოქმედი „უთვალავ სხვადასხვა ემპირიულ ვარემოებათა“, ბუნებრივ პირობათა, რასულ ურთიერთობათა, გარედან მოქმედ ისტორიულ გავლენათა და სხვათა მეოხებით“ განსხვავებული შედეგები შეიძლება მივიღოთ. უნდა ვიფიქროთ, რომ კარლ მარქსს მხედველობაში ჰქონდა აგრეთვე სხვა ფაქტორებიც („და სხვათა მეოხებით“) და მათ შორის სოციალური ჯგუფებისა და პიროვნების როლიც ისტორიაში. ერთი და იგივე ეკონომიური საფუძველები რომ ყოველთვის ერთსა და იმავე შედეგს იძლეოდეს, მაშინ ისტორია მეტნაკლებად მითოლოგიას დაემსგავსებოდა.

ასევეა „ჩიფდომ“-ის შემთხვევაშიც. თუმცა ეს უკანასკნელი უნივერსალური მოვლენაა.

მაგრამ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში მოქმედი სხვადასხვა ფაქტორების მეშვეობით სხვადასხვა ხალხების ისტორიაში ის სხვადასხვა ვარიაციებში გვევლინება, თუმცა მისი არსი ძირითადად ერთი და იგივე რჩება. ასე რომ უკლასო საზოგადოებიდან კლასობრივზე გადასვლის, სახელმწიფოების ჩამოყალიბების მრავალი ვარიანტი არსებობს და ეს ვარიანტები კონკრეტულ-ისტორიული მასალების გაანალიზების შედეგად შეიძლება იქნეს შესწავლილი.

ლ. ვასილევმა — სინოლოგმა, ჩინეთის ისტორიის მასალების გამოყენებით შესძლო „ჩიფდომის“, როგორც პოლიტიკური სტრუქტურის რეალური სურათის მოცემა. მისი აზრით, ხსენებული პოლიტიკური სტრუქტურის წარმოშობა დაკავშირებულია სოციალურ-კულტურული ინტეგრაციის იმ დონესთან, რომელიც შეესატყვისება სახელმწიფოს წარმოშობის პროცესის ყველაზე ადრინდელ და ყველაზე გადამწყვეტ ეტაპს.

თავის მხრივ თვით „ჩიფდომ“-მა თავის განვითარების გზაზე რიგი ცვლილებები განიცადა. ადრეულ პროტოსახელმწიფოში ომი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. მაგრამ ეს იმას როდის ნიშნავს, რომ პროტოსახელმწიფოს ბელადის ფუნქციებში მხოლოდ სამხედრო საქმის გაძღოლა და ომი იყო მთავარი. მარტივ პროტოსახელმწიფოში — ჩიფდომში ბელადის ხელში იყო თავმოყრილი ეკონომიური, პოლიტიკური და რიტუალური ფუნქციები. როგორც ლ. ვასილიევი აღნიშნავს, აქ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი სპეციალიზაცია და ბიუროკრატიზაცია.

მეომრის საქმიანობა პრესტიჟულად ითვლებოდა. სწორედ მეომრები იყვნენ ის სოციალური ფენა, რომელნიც აღიარებულ იქნენ, როგორც წარჩინებულები. ამასთან ერთად მეომრის აღიარება უშუალოდ მის პირად დამსახურებაზე იყო დამოკიდებული და არა გვარიშვილობაზე⁵.

მეომრის დამსახურების აღიარებას განვითარებულ პროტოსახელმწიფოებში, იქ სადაც მიწის მფლობელობა ითვლებოდა წარჩინებულობისა და სიმდიდრის სიმბოლოდ, შედეგად მოჰყვა ახალი მოვლენა — მიწისმფლობელ მეომართა ფენის წარმოშობა. ასეთი კანონზომიერება მოჩანს როგორც პოლინეზიური ასევე აფრიკული მასალებიდანაც.

⁵ В а с и л ь е в Л. С. Протогосударство—чифдом, как политическая структура, См. Народы Азии и Африки, № 6, 1981, с. 165.

სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსული აზიური, აფრიკული, ამერიკული, ოკეანის მასალები მეტად მრავალფეროვანია. მათში ასახულია მწყემსების, მონადირების, ჯუნგლების რეგიონების მონადირების, ტროპიკებისა და ცივი ზონის მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრება. მიუხედავად მასალათა ასეთი სხვადასხვაობისა, მეცნიერებმა მაინც მოახერხეს ეპოვნათ რაღაც საერთო კანონზომიერების ნიშნები სხვადასხვა ხალხთა განვითარების გზებში. ხსენებული მასალების გააზრებისა და გაანალიზების შედეგად შესაძლებელი გახდა მრავალი, უცილობლად მიღებული მასალის გადასინჯვა.

XIX საუკუნეში ისტორიულ მეცნიერებას განვითარების ნორმად მიაჩნდა გზა ანტიკურობიდან ფეოდალიზმისაკენ. ხოლო შემდგომ ფეოდალური საზოგადოების წიაღში კაპიტალიზმის ჩასახვა, ბოლოს პალიტალიზმის დამკვიდრება. მკვლევარები თითქმის ერთხმად აღიარებენ, რომ განვითარების ხსენებულმა ვარიანტმა დიდი როლი შეასრულა კაცობრიობის პროგრესში, არაევროპული ხალხების ყოფა-ცხოვრების მოდერნიზაციაში.

ამასთან ერთად იმის აღნიშვნაც საჭიროა, რომ აზიისა და აფრიკის ხალხების განვითარების გზა ევროპულისაგან განსხვავებული იყო იმ მხრივ, რომ მათთვის დამახასიათებელი იყო კერძო საკუთრების შედარებით სუსტი განვითარება. ერთ ხანს აღმოსავლეთმცოდნეები ფიქრობდნენ, რომ აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი იყო საერთოდ მიწაზე კერძო საკუთრების არარსებობა.

აღმოსავლეთში შესაძლებელი იყო პოლიტიკური ადმინისტრაციის (სახელმწიფო) წარმოშობა კერძო საკუთრების არარსებობის ან მისი შედარებით სუსტად განვითარების პირობებში. უფრო მეტიც, ასეთი რამ იქ უფრო ნორმა იყო, ვიდრე გამოჩნდებოდა.

ის უზარმაზარი ფაქტობრივი მასალა, რომელიც უკანასკნელი 50-60 წლის განმავლობაში დაუგროვდა მეცნიერებას, საკმაოდ კარგად არის გაანალიზებული. შედგენილია კაპიტალური საძიებლები შესწავლილი მასალისა. დაწერილია. ლ. ვასილიევის სიტყვით რომ ვთქვათ, ასეთულობით მონოგრაფია, რომლებიც მიძღვნილია სხვადასხვა ხალხებისადმი. მათი შორის მრავალ მცირე და ჩამორჩენილი ტომებისადმი. ხსენებული სამეცნიერო პროდუქციის საბჭოთა მკვლევარები მეცნიერებისათვის შენაძენად თვლიან.

მართებულად აღნიშნავს ლ. ვასილიევი, რომ მკვლევარები ახლა თითქმის ერთხმად აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ პირველყოფილი ხალხების ძირითად სოციალურ და სამეურნეო უჯრედად იმ ცვლილებებამდე, რომელიც ნეოლითურმა რევოლუციამ გამოიწვია, იყო ლოკალური ჯგუფი. ამ უკანასკნელის ქვეშ იგულისხმება 20-50 სულისგან შემდგარი კოლექტივი. სათანადო მასალების შესწავლის შემდეგ მკვლევარები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ლოკალური ჯგუფები შედგებოდნენ წყვილად ოჯახებისაგან, მათი შვილებისა და უახლოესი ნათესავებისაგან. მკვლევარები, ამავე დროს, უშვებენ ტოტემური გვარის არსებობას „მისი რიტუალური და ეგზოგამიური ფუნქციებით“.

6 «Только в виде частного случая, при некоторых благоприятных для этого условиях, на определенном этапе эволюции на передний план могла выйти частная собственность как структура», образующий фактор, обусловило специфику активностей. В а с и л ь е в Л. С. Становление, НАА № 1, М., 1980, с. 173.

ამასთან დაკავშირებით, ლ. ვასილიევი შენიშნავს, რომ გვარის, როგორც ასეთის, არსებობა ყველგან როდი ჩანს, მაგალითად ესკიმოსებში და ციმბირის ზოგიერთ მცირე ხალხში. მკვლევარები იმ მოსაზრების სასარგებლოდ იბრებიან, რომ სწორედ ლოკალური ჯგუფი, რომელიც გენეტიკურად უკავშირდება ძველი პალეოლითის ხანის მაიმუნ-ადამიანების ურდოებს იყო „ძველი ადამიანების არსებობის ორგანიზაციული ფორმა“⁷.

სამეცნიერო ლიტერატურაში ის გარემოებაცაა აღნიშნული, რომ ეს ლოკალური ჯგუფები შედარებით არამტკიცე გაერთიანებებს წარმოადგენდნენ და მისი შემადგენლობა ცვალებადი იყო. ერთი მიდიოდნენ ჯგუფიდან, ხოლო მეორენი შემოდიოდნენ მასში. ჯგუფს მონიშნული ჰქონდა თავისი საარსებო სივრცე. თვით ჯგუფის შიგნით მის წევრთა შორის ურთიერთობის მოწესრიგებისათვის შემუშავებული იყო გარკვეული ქცევის წესები, ნორმები. ცხადია, არსებობდა ასეთი ნორმები მეზობელ ჯგუფებთან და უცხოტომელებთან ურთიერთობისათვის.

ლოკალური ჯგუფის არჩეულ ლიდერს, უფროსს, ადმინისტრაციული ხასიათის მოვალეობები ეკისრებოდა, რომელთაგან უპირველესი იყო ზრუნვა ჯგუფის საკვებით უზრუნველყოფაზე სამუშაოთა ხელმძღვანელობა, უშიშროებაზე ზრუნვა, საგარეო და საშინაო კონფლიქტების მოგვარება.

მკვლევარები იმასაც აღნიშნავენ, რომ ლოკალური ჯგუფის ლიდერას ხელისუფლება ეყრდნობოდა მის პირად ავტორიტეტს, პრესტიჟსა და უნარს. გარდა ხსენებულისა, ძალაუფლებას სხვა არავითარი ბერკეტი არ გააჩნდა.

ლოკალური ჯგუფის წინამძღოლის ერთ-ერთი მოვალეობაა იყოს უხვია; როგორც ჩანს, ამ ხანებში ის მატერიალურად ჯგუფის სხვა წევრებისაგან განსხვავდება და საშუალება აქვს გასცეს თავისი ქონება, რაც უფრო უხვია ლიდერი მით უფრო მატულობს მისი ავტორიტეტი და რაც უფრო იზრდება მისი პრესტიჟი, მით უფრო ადვილად ემორჩილება მის განკარგულებებს ლოკალური საზოგადოება (ჯგუფი).

ჯგუფის ლიდერის პრივილეგია იმაში გამოიხატება, რომ ჯგუფის სხვა მამაკაცებისაგან განსხვავებით უფლება აქვს ჰყავდეს რამდენიმე ცოლი და იმდროინდელი შეხედულების მიხედვით ასეთი რამ სამართლიანია⁸.

რთულ პროტოსახელმწიფოებში წარმოიშობოდა წინამძღვრები სეპარატიული მოძრაობისათვის. საბოლოოდ ვლებულობთ ფეოდალურ სეპარატიზმს და ფეოდალურ სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურას. ძველი საბერძნეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზა, ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენდა.

პროტოსახელმწიფოში კლასები, როგორც ეკონომიური კატეგორია, არ არსებობდა.

მმართველი ფენის შრომა, მათი ორგანიზატორული მუშაობის მდგომარეობა თანდათან რთულ ხასიათს ღებულობდა. დიდდებოდა მათი ავტორიტეტი. ბელადი სულ უფრო და უფრო მეტ უფლებებს იძენდა როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ სფეროში. მკვიდრდება არათანაბარი მოხმარების პრაქტიკა. პროტოსახელმწიფოს ეკონომიური ფუნქციის მაქსიმიზაციამ ხელი

⁷ ლ. ვასილიევი. ციტ. ნაშრომი, გვ. 174.

⁸ იხ. R. Redfield, *The Primitive World and its Transformation*, 1953, II. იხ. კრებული «Этнография за рубежом», М., 1973, с. 51—57.

შეუწყო შრომის დანაწილებასა და შრომის ნაყოფიერების ზრდას, ზედმეტი პროდუქტის მეტი ოდენობით წარმოებას.

როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ფუნქციონალურ-სტრუქტურულმა უთანასწორობამ, რომელიც სავარაუდოდ-იარაქიულ და ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ საფუძველზე იყო აღმოცენებული, რთული პროტოსახელმწიფო მიიყვანა სოციალურ და ქონებრივ უთანასწორობამდე. თანდათან ჩნდება ორი ძირითადი სტრატა, ორი ძირითადი ფენა, ერთი მმართველთა პრივილეგიური ფენა და მეორე უშუალოდ მწარმოებელთა ფენა, რომელთა ხარჯიც უნდა იარსებოს პრივილეგიურებულთა ფენამ.

თავდაპირველად რა თქმა უნდა, საზოგადოების სტრატებად-ფენებად დაყოფას რა ჰქონდა კლასობრივი ხასიათი. მმართველობასთან დაკავშირებული ცენტრის მოხმარების ზრდაც აღიქმებოდა, როგორც ჯეროვანი რამ.

მკვლევარებმა ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებასაც, რომ შიმშილობის და საერთოდ მოუსავლიანობის წლებში თემებიდან ცენტრისათვის პროდუქტების მიწოდება კი არ მცირდებოდა, არამედ, პირიქით, დიდებოდა კიდევაც. ცენტრი მას თემებისგან მიღებულ საჩუქრად თვლიდა. ზოგან ეს ითვლებოდა მსხვერპლის შეწირვადაც კი. ზოგჯერ თემებიდან ცენტრში გაგზავნილი პროდუქცია ითვლებოდა იმ საკრალური ძალებისთვის განკუთვნილ საჩუქრად. რომელსაც პროტოსახელმწიფოს ბელადი ემსახურებოდა. იგულისხმებოდა, რომ ბელადს შეეძლო ღვთაებრივი ძალების ქვეყნის სასარგებლოდ განწყობა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსავალზე ზემოქმედება.

პროტოსახელმწიფოსათვის საერთო ნიშნებით ხასიათდება ისეთი სოციალ-ეკონომიკური კატეგორიები, როგორიცაა ხელისუფლება და საკუთრება. ხსენებული პოლიტიკური სტრუქტურის წიაღში ხელისუფლება და საკუთრება ერთმანეთთან ძალიან ახლო მდგომი ცნებებია, ზოგჯერ იდენტურიც კი. ასე უნდა ყოფილიყო ადრეკლასობრივი ხანის საქართველოშიც. ვფიქრობთ, რომ ერთ დროს ქართული ხელი ძალაუფლებასაც აღნიშნავდა და საკუთრებასაც.

ეყრდნობა რა სათანადო სპეციალურ ლიტერატურას, ლ. ვასილევმა აღნიშნავს:

„საქმე ისაა, რომ საკუთრება, თუ კომპლექსურად მხედველობაში გვექნება ამ ცნების ეკონომიური შინაარსი და იურიდიული ფორმა, როგორც ერთი მთლიანობა, — და ეს მოცემულ შემთხვევაში ერთადერთი სწორი მიდგომა — ისტორიულად ყალიბდებოდა, როგორც კოლექტივის (ლოკალური ჯგუფისა თემის) ურთიერთობა მფლობელობის ობიექტთან. იქნება ეს ტერიტორია სავარგულებით, პროდუქტი თუ ნადავლი, თვით სიმბოლოები, სიმღერის ჩათვლით, ცეკვა, რიტუალი, სახელი. საკუთრების ყველა ეს ელემენტები უძველესი დროიდან აღიქმებოდა მფლობელობის ტერმინების, ე. ი. მათ მიმართ ხელისუფლების მეშვეობით“⁹.

თავდაპირველად, პირველყოფილი საზოგადოების პირობებში, მფლობელობა და საკუთრება წარმოიდგინებოდა როგორც მხოლოდ და მხოლოდ კოლექტიური მოვლენა. თემის ხელში იყო ხელისუფლებაც და საკუთრებაც.

⁹ ლ. ს. ვასილევმა. „პროტოსახელმწიფო...“ ყურნ. „აზიის და აფრიკის ხალხები“ № 6, 1981, გვ. 171.



ადამიანთა მიერ ბუნების საგნების მითვისება ხდებოდა ჯერ გვაროვნული, შემდეგ გვაროვნულ-ტერიტორიული და ა. შ. თემების მეშვეობით.

გვაროვნულ კოლექტივებში უხუცესების მიერ მფლობელობის ობიექტების განაწილების უფლებამოსილებამ, თემთა შორის კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის მოვალეობამ, თვით საკრალურ ძალებსა და კოლექტივს შორის მომრიგებელი მსაჯულის და შუაყაცის როლმა დროთა ვითარებაში ბელადი გახადა მფლობელობის და ხელისუფლების სუბიექტად და როგორც ასეთი თანდათან ხდება საკუთრების სუბიექტად.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ რელიგიის დიდი როლი საზოგადოებაში. თ. გამყრელიძესა და ვ. ივანოვს მართებულად აქვთ აღნიშნული, რომ საერთო ინდოევროპული სამართლებრივი ტერმინოლოგია ემიჯნება საწესჩვეულებო ტერმინოლოგიას, რაც მიუთითებს სამართლებრივი ინსტიტუტების გამოუყოფლობას (невычленность) რიტუალურ-საწესჩვეულებო წარმოდგენებასაგან, რომლითაც განისაზღვრებოდა ძველი ინდოევროპელების სამართლებრივი ნორმები. ამ საზოგადოების სამართლებრივი ნორმები, — ესაა რიტუალური დანაწესების მთელი სისტემის ნაწილი, რომელსაც „ქურუმობა“ აკონტროლებდა და რომელიც თავის თავში აერთიანებდა სულიერი მოღვაწეობის ყველა ფუნქციას, აწესრიგებდა ძირითად სოციალურ ნორმებს¹⁰.

ზოგ ქვეყანაში ქურუმობა ცალკე საზოგადოებრივ ფენად ჩამოყალიბდა, ზოგანაც თვით ჩიფდომის მმართველი ფენა ან ბელადობა, წინამძღოლობა ერთსა და იმავე დროს სასულიერო ფუნქციებსაც ასრულებდა.

თანდათანობით, როგორც ლ. ვასილიევი აღნიშნავდა „პროტოსახელმწიფოს ადმინისტრაციაში უმაღლესი სტატუსის რეალიზაცია არ ხდებოდა „მერიტოკრატიის ტერმინების მეშვეობით, როგორც ეს ხდებოდა პრიმიტიულ წინასახელმწიფოებრივ სტრუქტურებში.

უმაღლესი სტატუსის და რეალური ძალაუფლების მოხელთება საკრალურად იყო დეტერმინირებული.

ბელადების საკრალური ლეგოტიმაცია დიდ როლს თამაშობდა პროტოსახელმწიფოებში. უკვე პროტოსახელმწიფოების დონეზე ხდება, საგულვებელია. გარკვეული დონის ქალაქების წარმოშობა, ურბანიზაცია.

ქალაქებისა და მეზობლური თემების წარმოშობა ფაქტია, მაგრამ ერთიც და მეორეც ჯერ კიდევ საგვარეულო საზოგადოების ფორმას ვერ იცილებს.

ზოგიერთ ქვეყანაში ქალაქების ცალკეული უბნები უპირატესად რომელიმე გვარის წარმომადგენლებს ეკავათ. ამასთან ერთად, არაერთი შემთხვევაა ცნობილი, როდესაც კლასობრივი საზოგადოების თემები ისევე შედგებოდნენ ნათესავეებისაგან, როგორც პირველყოფილი თემები. ცნობილი მკვლევარი ი. სემიონოვი მართებულად აღნიშნავს¹¹, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთში მეოცე საუკუნის დასაწყისშიც კი საკმაოდ ხშირად გვხვდებოდნენ სოფლები, სადაც ყველა მამაკაცი ერთი საერთო წინაპრის შთამომავალი იყო. ასეთი სოფლები მხოლოდ ერთი შეხედვით მოგვაგონებენ პირველყოფილ

¹⁰ Гамкрелидзе Т. В., Иванов В. В., Индоевропейский язык и индоевропейцы. т. II, Тб., 1984, с. 805.

¹¹ Семенов Ю. И. Первобытная коммуна и соседская крестьянская община, См. Сборник «Становление классов и государство», Сб. статей. Изд. «Наука», М., 1966. с. 9-10.

გვაროვნულ თემებს. სინამდვილეში კი ასეთი თემების შეიქმნა კავშირთა-ერთობები თითქმის არაფრით განსხვავდებოდნენ მეზობლური თემების სინამდვილეში არსებული კავშირთაერთობებისაგან. ი. სემიონოვის ხსენებული მოსაზრება მისაღებია. მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული სოფლების წევრთა შორის ნათესაური კავშირი სახეზე იყო, ასეთი სასოფლო თემი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა დაგვეხასიათებინა, როგორც პირველყოფილი. ეს იყო ჭეშმარიტი სასოფლო თემი, და ამ თვალსაზრისით მეზობლურიც და არა სისხლისნათესაური თემი.

სამეცნიერო ლიტერატურაში მოტანილია სანდო ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ XIX-XX სს. იაპონიაში, ჩრდილოეთ რუსეთში, ბელორუსიაში, ასევე XVI-XIX საუკუნეების უკრაინაში, ბულგარეთში და სხვა ქვეყანაშიც არსებობენ სოფლები, რომელთა მოსახლეობაც ერთი გვარისაგან, ერთი ნათესაური ჯგუფისაგან შედგებოდა¹². ჩვენს მხრივ, შეგვიძლია დავსძინოთ, რომ ასეთი სოფლები საქართველოშიც არსებობდნენ. „არ იქნებოდა სწორი, რომ ასეთ სოფლებში გვაროვნული თემები დავგენახა“¹³.

გამოთქმულია მოსაზრებაც, რომ წინაკლასობრივი საზოგადოების განვითარების ევოლუციაში ცალკე უნდა გამოიყოს პირველყოფილი მეზობლური თემის სტადია. ასეთი თემები, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით არა მხოლოდ ნათესავეებისაგან შედგებოდა.

მართებულია ამასთან დაკავშირებით ი. სემიონოვის შენიშვნა: ყოველივე ამის შემდეგ საკვებით დაუშვებელია პირველყოფილი და საგლეხო თემების განსხვავებაზე მსჯელობისას მხოლოდ „ნათესაობა“ და „მეზობლობა“ ტერმინებით შემოვიფარგლოთ. საჭიროა გამოვკვეთოთ იქნას შინაგანი არსი, ის კავშირთაერთობანი, რომელიც საფუძვლად ედო პირველყოფილ თემს; ასევე

¹² Косвен М. О. «Семейная община и патронамия», М., 1963, с. 104—107; Першиц А. И. «Развитие форм собственности в первобытном обществе, как основа периодизации его истории». Труды Института этнографии, новая серия, т. 54, М. Л. 1960. Пиотровскии Б. Б. Формы хозяйства, способствующие образованию классов и государства.—Конференция «Возникновение классового общества». Тезисы докладов. М., 1963.

¹³ იხ. კრებული „რუსულან ხარაძე“, თბილისი, 1985, ვალ. იოთონიშვილის წერილში „რუსულან ხარაძე — ოჯახის ისტორიისა და საოჯახო ყოფის მკვლევარი“, — ნათქვამია: „შეყრილობაში გამოყენებული იყო დიდი ოჯახის სამეურნეო-ეკონომიკური ერთობისათვის დამახასიათებელი პრინციპები, მაგრამ ასეთი დროებითი გაერთიანება არ შეიძლება გავიგვივით დიდ ოჯახთან. სამწუხაროდ, ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და იურიდიულ ლიტერატურაში, ამ მხრივ, სინამდვილისთვის შეუსაბამო შეხედულებებია გაბატონებული. უფრო მეტიც, ზოგიერთი მკვლევარი უარყოფს დიდი ოჯახის გენეტიკურ კავშირს საოჯახო თემთან და მას ფეოდალური ან კაპიტალისტური ეპოქის წარმონაქმნად მიიჩნევს“ (გვ. 36.) ამ მოსაზრების მომხრედ ვ. იოთონიშვილი ჩვენცა გვთვლის და უთითებს ჩვენს ნაშრომზე „ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევი“, 1971, გვ. 183-187; რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ?

ჩვენ არ უარყოფთ საერთოდ დიდი ოჯახის გენეტიკურ კავშირს საოჯახო თემთან, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ დიდ ოჯახს რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა, პირველყოფილი საზოგადოების გადმონაშთ საოჯახო თემთან ბევრი არა აქვს რა საერთო: იმ დიდ ოჯახს, რომელსაც გვაროვნული საზოგადოების სიღრმეში „ჰქონდა ფესვები გადგმული და იმ დიდ ოჯახს შორის, რომელიც წვრილი ოჯახების გაერთიანებით ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა, დიდი განსხვავებაა“. იხ. ჩვენი „ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევი“, 1971, გვ. 184.

გამოკვლეულ უნდა იქნას, ის ურთიერთობანი, რომელიც საფუძვლად ედო საგლეხო თემს.

ი. სემიონოვისავე დაკვირვებით თუ „ელემენტარული ოჯახის“ არსებობას არამარტო ეკონომიკური, არამედ სხვა საფუძველიც გააჩნია, რომელთა შორისაც, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ „სქესთა შორის ურთიერთობის ორგანიზაციაზე საზოგადოებრივი მოთხოვნილება“, მაშინ „დიდი ოჯახი თავის არსებობას განსაკუთრებით მის ეკონომიკურ ხელსაყრელობას უნდა უმადლოდეს, მცირე ოჯახი, როგორც მეურნეობა; ეკონომიკურად ნაკლებად ხელსაყრელი იყო.

შესაძლებელია, რომელიმე მოვლენა გარეგნულად კლასობრივი საზოგადოების პროდუქტად გვეჩვენებოდეს, მაგრამ სინამდვილეში კი წინაკლასობრივიდან მომდინარეობდეს და პირიქით.

ამიტომაც საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა იქნება საჭირო. ზოგჯერ საკითხისადმი წმინდა „ტექნოლოგიურმა“ მიდგომამ შეცდომაში შეიძლება შეგვიყვანოს.

ვ. გულბაევმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ ამერიკის კონტინენტის რიკი ქვეყნები ცივილიზაციის ეპოქაში ისე ცხოვრობდნენ, რომ არ იცოდნენ რა იყო ბორბლის ტრანსპორტი, გუთანი, ცხოველთა გამწევი ძალა, ირიგაცია, ლითონის დამუშავება და ა. შ.

